ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 სექტემბერი 2001 №172 (1445) | ფასი 50 თეთრი

# ჩვენ ვეძებთ საყვარლებს

## ჩემპიონთა ლიგა 2001-02: სამი ქართველი და დანარჩენები სრულიად საქართველოსთვის

დღეს საკლუბო შეჯიბრთაგან უპირველესი – ჩემპიონთა ლიგა იწყება. იწყება ხმაურით – პირველივე დღეს „რომა" მასპინძლობს „რეალს". გამორჩეული თამაში სხვაც ბევრი იქნება, თუმცა წინა სეზონების გამოცდილება გვკარნახობს, რომ არცთუ იშვიათად არაფრისმომცემი და მოსაწყენი თამაშებიც გამოერევა.

მაგრამ დღეს მოსაწყენ თამაშებზე ლაპარაკი არ ღირს. ისევ ძველი გამოცდილება გვკარნახობს, რომ ასეთთაგან ნაგემი იმედგაცრუება ვერ გადასწონის იმ სიამოვნებას, რასაც საზოგადოდ ლიგა გვაძლევს. ბოლოს და ბოლოს, ლიგის თამაშები ქომაგს სალაპარაკოს და საკამათოს აძლევს, მეტადრე კი ქართველ ქომაგს, რომელსაც თავისი ფეხბურთი ფაქტობრივად არ აქვს და საყვარელ გუნდებს ჩემპიონთა ლიგაში ეძებს.





REUTERS რომბული

გუშინ რომში. ვისენტე დელ ბოსკე (მარცხნივ) და ლუიშ ფიგუ: ჯერ ყველაფერი სათუოა

ჩემპიონთა ლიგის A, B, C, D ჯგუფების ანონსი და მონაწილენი იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდებზე

# იუგოსლავიამ ტიტული დევნებს წაართვა

მთელი თურქეთი საკალათბურთო ნაკრებისგან ევროპის ჩემპიონობას ითხოვდა. ამ ტურნირისთვის საგანგებოდ სიმღერაც შეიქმნა, რომელშიც თურქი კალათბურთელები დევკაცებად მოიხსენიებიან. ჩემპიონატის მასპინძლებს ისტორიული ტრიუმფის შანსი ჰქონდათ — მართლაც მოულოდნელი იყო მათი ფინალში გასვლა.

თურქებმა ვერ გაიხარეს. ჩემპიონი უფრო ძლიერი და განსწავლულ-გამოცდილი გახდა. იუგოსლავიელმა კალათბურთელებმა არად ჩააგდეს საერთოთურქული ისტერია და ღირსეულად დაიბრუნეს ორი წლის წინ დაკარგული ევროპის ჩემპიონის ტიტული.

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები



REUTERS

ევროპის ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრები

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 6 ტური

# ცხადაძეს კოლეგიალობა სცოდნია

## დინამო ლობიოს ჭამა ხომ არ გგონიათ?!



გიორგი მიქაძე თითქოს მძიმედ დაშავდა, მაგრამ ორი ნაკერით გადარჩა

**დავით თავართქილაძე**

**ცუდი** დღე ჰქონდა დინამოელთა დამრიგებელ გივი ნოდიას. ხდება ხოლმე, რომ მწვრთნელს ერთბაშად ბევრი პრობლემა და უსიამოვნო ამბები დაატყდება თავს, მაგრამ იმ დღეს მომხდარი პერიპეტიები, ალბათ, რაღაც განსაკუთრებული იყო — კაცს გივი ნოდიაც შეებრალებოდა და მისი „დინამოც“.

„ლოკომოტივი“ კი ამ გამარჯვებით წელში გაიმართა. მისი მთავარი მწვრთნელისთვის, რომელიც წინა ტურში გაძევების გამო ტრიბუნიდან უყურებდა თამაშს, ეს ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ — „ბირკირკასთან“ შერცხვენის შემდეგ კახა ცხადაძის გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში ორივე მატჩი მოიგო, ხოლო ბატეს მიერ დაჩოქებულმა ნაოდიას „დინამომ“ კი ორივე წააგო. ამ უბრალო შედარებას თავი რომ გავანებოთ, სათქმელი სხვაც არის. თბილისის „დინამო“ ისე გამოიყურება, თითქოს მას პერსპექტივა არა აქვს. ფრთები არც „ლოკომოტივს“ გამოუსხამს, მაგრამ უამისოდაც პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე.

ლოკომოტივურ თემას ბარემ იმასაც დავუმატებთ, რომ პირველ ტაიმში მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა — სტადიონის განათება გამოირთო. ხოლო როცა დინამოელი მიქაძე მძიმედ დაშავდა, რკინიგზელთა არენაზე საკაცე არ მოიძებნა. კიდევ კარგი, კოჭ-წვივის სახსრის ზედაპირი დავითნიძის ქაცვებმა ისე დაუზიანა, მხოლოდ ორი ნაკერი დასჭირდა.

პირველი ტაიმი იყო, სათადარიგოებში გამწესებული ერთ-ერთი დინამოელის ძმა ტრიბუნიდან რომ დაეშვა და გივი ნოდიას ძმის მინდორზე გაყვანა მოსთხოვა. თუ როგორ გააკეთებდა ამას ნასვამ მდგომარეობაში მყოფი კაცი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. სიტუაციის განმუხტვას მისი ძმა კი ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. პოლიციაც არსად ჩანდა. კეთილი ნება დინამოელმა მიხეილ მაზიაშვილმა გამოიჩინა (ჰეპატიტის გამო მას ჯერ ვარჯიშიც არ დაუწყია), ინციდენტის ადგილას მივიდა და სათადარიგოებში გამწესებული ფეხბურთელის ძმა იქაურობას განარიდა.

რამდენიმე წუთში უკვე ჩვენთვის უცნობი პიროვნება მიეჭრა გივი გოდიას და რომ არა მავთულღობე, ვინ იცის, რა მოხდებოდა. პოლიცია ჩვეული სილინჯით ჩაერია საქმეში და ეს უსიამოვნო ამბავიც ჩამთავრდა.



წინა ტურში გაძევებული ცხადაძე „ლოკომოტივს“ ტრიბუნიდან არიგებდა

მეორე ტაიმში კი დინამოელთა დამრიგებელმა მაინც შეუშვა ის სათადარიგოში გამწესებული ფეხბურთელი მინდორზე. ამის შემდეგ ყველაფერი გაცხადდა — გივი ნოდია და მისი „დინამო“ მატჩს უთუოდ წააგებდნენ. ასეა, oromtrialls ნოდიას რბილი ხასიათი ვერ უმკლავდება.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა მარცხის მიზეზად რამდენიმე ფაქტორი დაასახელა: გოლის გატანა გვიჭირს, გუნდი მონოლითურად არ გამოიყურება, სტაბილურობა გვაკლია, ფეხბურთელები დაიღალნენ, შეცვლები ვიჩქარე, მეტოქე გუნდის ფეხბურთელები — ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე და დათვაძე სწორად და აგრესიულად მოქმედებდნენ...

რაღა დარჩა?

გარდა ამისა, გივი ნოდია გლობალურ პრობლემებსაც გადასწვდა. ბატესთან თამაშის შემდეგ ფეხბურთელებს უცხოეთისკენ უჭირავთ თვალი, მაგრამ საზღვარგარეთ სათამაშოდ ჯერ მზად არ არიანო. ისიც ითქვა, ჩვენი ჩემპიონატი ჩვენვე არ უნდა დავაკნინოთო. ერთი სიტყვით, პრესკონფერენცია ლექციას დაემსგავსა.

გივი ნოდიას და მის შეხედულებებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ჯობს, ლექცია ფეხბურთელებს წაუკითხოს და საერთოდ, თბილისის „დინამოს“ გაწვრთნა ლობიოს ჭამა სულაც არ არის.

რკინიგზელთა დამრიგებელმა კახა ცხადაძემ აღნიშნა, რომ დიდი როლი შეასრულა დავით ჭიჭვეიშვილის მოედანზე შესვლამ. ცხადაძის აზრით, ერთმანეთს ჩვენი ჩემპიონატის ორი ლიდერი გუნდი ხვდებოდა, ბევრი ტექნიკური ხარვეზი კი დაძაბულობის ბრალი იყო.

„ოდნავ უკეთესი შემსრულებლები გვყავს და ჩვენი გამარჯვება ამან განაპირობა“ — დაუმატა ნათქვამს კახა ცხადაძემ. მან აგრეთვე კვერი დაუკრა უფროს კოლეგას, ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელის ამბიციები მათ შესაძლებლობებს აღემატებაო.

უშუალოდ მატჩის პერიპეტიებზეც მოგახსენებთ. პირველი ტაიმი მთლიანობაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. „დინამო“ მცირე ტერიტორიული უპირატესობას თუ ფლობდა. მიკუჩაძე-დარასელია-ბობოხიძის კომბინაციის შედეგად ლადო ბურდული მარჯვნიდან შეიჭრა „ლოკომოტივის“ საჯარიმოში და გიორგი ლომაიას შორეულ, დაბალ კუთხეში გაუტანა. უნაკლო იყო დავით ჭიჭვეიშვილის დარტყმულიც — 15-16 მეტრიდან აუღებელი ბურთი გაგზავნა ზურაბ ბათიაშვილის კარში.

მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურების შანსი „დინამოს“ მიეცა, როცა სახვაძის ჩაწოდებული ბურთი ლოკომოტიველთაგან უმეთვალყუროდ დარჩენილმა მიკუჩაძემ 8-9 მეტრიდან ხარიხას გადააცილა. ამის შემდეგ თამაში „ლოკომოტივის“ სრული უპირატესობით წარიმართა. საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს დათვაძემ და გოგიჩაიშვილმა. თუმც გოლი მწიფდებოდა და მოსალოდნელიც მოხდა — დათვაძემ გამარჯვებისა შეაგდო.

და კიდევ. მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, გიორგი ანჩაბაძემ რამდენჯერმე ფეხებშუა გაუტარა ბურთი დინამოელებს. თავმოყვარე გუნდი ამას ნაღდად ვერ აიტანდა...

---

თბილისი. 8 სექტემბერი. 20 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 2:1 დინამო

0:1 ბურდული (33), 1:1 ჭიჭვეიშვილი (36), 2:1 დათვაძე (83)

ლოკომოტივი (მწვრთნელი: კახა ცხადაძე): 1 ლომაია; 6 დავითნიძე, 4 სალუქვაძე, 2 ბალაშვილი; 15 მორჩილაძე, 25 ქორიძე, 20 ონიანი; 26 ანჩაბაძე; 9 გოგიჩაიშვილი, 16 დათვაძე; 10 კაიდარაშვილი

დინამო (მწვრთნელი: გივი ნოდია): 10 გ.ვ. მიქაძე, 11 მ. ბობოხიძე; 7 მიკუჩაძე; 9 დარასელია, 6 ამისულაშვილი, 8 ბურდული, 2 მანწკავა; 3 კანდელაკი, 5 შაშიაშვილი, 4 ვაშაკიძე; 1 ბათიაშვილი

**შეცვლა:** კაიდარაშვილი — 8. ჭიჭვეიშვილი (30), მიქაძე — 17. ა. სახვაძე (42), მანწკავა — 16. შალამბერიძე (46), მიკუჩაძე — 13. აფციაური (75), გოგიჩაიშვილი — 13. დ. გოდერძიშვილი (86)

**გაფრთხილება:** ანჩაბაძე (12), გოდერძიშვილი (90)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 21 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 3 |

---

ქუთაისი. 8 სექტემბერი. 17.50 საათი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 2:1 ბათუმი

0:1 ხუჯაძე (53), 1:1 მახვილაძე (71), 2:1 დიდავა (81)

ტორპედო (მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი): 1 გვარამაძე; 24 ხვადაგიანი, 12 აბრამიძე, 5 თოდუა; 4 დიდავა, 6 ქემოკლიძე; 15 ახალკაცი, 8 ბაბუნაშვილი; 20 ასათიანი; 10 აშვეთია, 9 ზვ. ქუთათელაძე

ბათუმი (მწვრთნელი: ასლან ბალაძე): 9 მაჭუტაძე, 11 აფხაზავა; 8 რომანაძე, 10 ტუღუში, 6 ქაცარავა; 7 ხუჯაძე, 3 მინდაძე; 2 ჩხაიძე, 4 არჩვაძე; 18 თურმანიძე; 1 ჭანტურია

**შეცვლა:** ბაბუნაშვილი — 3. მახვილაძე (25), ქუთათელაძე — 19. პოროშინი (46), ახალკაცი — 25. პარამონოვი (60), რომანაძე — 14. ზვ. გვაზავა (85)

**გაფრთხილება:** რომანაძე (16)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. დოლიძე, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 16 |
| 8 | კუთხური | 4 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 9 | კარში დარტყმა | 4 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

---

### გერმანია

II ბუნდესლიგა. V ტური

კარლსრუე 2:3 აინტრახტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

VII ტური

დიუსელდორფი 1:1 პადერბორნი

### იტალია

სერია B. III ტური

მოდენა 4:1 ნაპოლი

რეჯინა 2:0 სამპდორია

სერია C1/a. II ტური

ტრიესტინა 1:0 ალძანო

### შვედეთი

XX ტური

ჰამარბი 2:2 ჰეკენი

იორებრო 1:2 გიოტებორგი

იორგრიტე 2:1 ტრელებორგი

### ინგლისი

ლიგის თასი. II ეტაპი

ბლექპული 0:1 ლესტერი

### პორტუგალია

სერია I ლიგა. IV ტური

გიმარაეში 2:1 ბრაგა

### დანია

VII ტური

ორჰუსი 3:0 ვაილე

# ცისარტყელა ავჭალური თილისმაა

თბილისი. 9 სექტემბერი. 17.30 საათი. სინათლე. 1 500 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ბაჯელიძე (27), 2:0 გაგუა (30), 2:1 გოგობერიშვილი (78პ)

**მერანი:** 1 ნაჭყეპია; 3 გუჯაბიძე; 4 ზ. ცქიფურიშვილი, 2 გოგიტაძე; 6 გ. ილურიძე, 15 ბოლქვაძე, 16 მუხინი, 9 კოშკაძე; 8 ბაჯელიძე; 7 დავითაშვილი, 10 გაგუა.

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

**ვიტ ჯორჯია:** 1 მერლანი; 2 არეშიძე, 24 ინწკირველი, 4 კობიაშვილი; 5 ჯ. მუჯირი, 23 თედორაძე, 9 ლ. ნოზაძე, 14 დ. დოლიძე; 7 გოგობერიშვილი; 22 ადამია, 10 გოჩაშვილი.

მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

შეცვლა: გოგიტაძე — 14. ქინქლარაული (46), დოლიძე — 6. ფეიქრიშვილი (46), გოჩაშვილი — 8. მ. ცქიფურიშვილი (46), არეშიძე — 16. წუწუნავა (55); ბაჯელიძე — 5. გ. ხიზანიშვილი (71), გაგუა — 17. კვეკვესკირი (85)

გაფრთხილება: ბოლქვაძე (57), მუჯირი (59), ზ. ცქიფურიშვილი (62)

მსაჯები: კ. მქსხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 23 |
| 1 | კუთხური | 5 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 7 | თამაშგარე | 0 |

მამუკა კვანტალიანი

**გასაკვირი** კია, მაგრამ ოთარ გაბელიას „მერანი" მეცამეტე ჩემპიონატში ისევ დაუმარცხებელია. ხუთი მოგება და ერთი ფრე შთამბეჭდავი შედეგია. გუნდი, რომელსაც ფინანსები თავზე არ გადასდის და ამ მხრივ ჩვენში ერთ-ერთი რიგითია, ბევრის თავსატეხად ქცეულა.

ავჭალელებმა გუშინწინ საკუთარ „სინათლეზე" ვეტერინარები წამოაქციეს. მასპინძლებმა ითამაშეს ორი განსხვავებული ტაიმი. ბოლოსკენ დაღლილებმა თავიდანვე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება მაინც შეძლეს.

ოთარ გაბელიამ გამოჯანმრთელებული მუხინი და ბაჯელიძე ძირითადში გაამწესა. ბუნებრივია, უკანახაზელ ჭინჭარაულსა და თავდამსხმელ ივეჩიანს სათადარიგოობა ერგოთ. სხვა ცვლილებები ავჭალელთა გუნდში აღარ მომხდარა. გაბელიამ სტუმრებს ის შემადგენლობა დაახვედრა, რომლის მონდომებითაც ზესტაფონიდან სამი ქულა წამოიღო.

ჯანი კარნევალის არ ჰყავდა ჭანკოტაძე. გიორგი ორიოდ დღის მობრუნებული ყოფილა კვიპროსიდან, სადაც გასინჯვაზე იმყოფებოდა და მწვრთნელმა არ გარისკა. იტალიელმა სამკაციანი დაცვა, ინწკირველის მეთაურობით, ხაზზე გაამწკრივა და, ჩემი აზრით, სწორედ ეს იყო სინიორ ჯანის შეცდომაც. მარჯვენა ფლანგის მაკონტროლებელმა დოლიძემ, დაცვასა და შუახაზს შორის გახიდულმა არეშიძემ ერთობ მოისუსტეს. ვერ იყოჩაღა ნახევარდაცვამ და პასიური იყო თავდასხმა.

მასპინძლებმა სწრაფი და საზრიანი მოძრაობის ხარჯზე მეტოქეს შუა ხაზი წაართვეს. გამოცდილი გუჯაბიძე დაცვაში სტუმარს არ აჭაჭანებდა, ხოლო ტანმორჩილი დავითაშვილი სულაც მოუხელთებელი იყო ვიტელთათვის.

პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯია" გოგობერიშვილის ერთი არაზუსტი საჯარიმო დარტყმით და გოჩაშვილის გაცუდებული მომენტით შემოიფარგლა. „მერანმა" კი თავისი დიდი სათამაშო უპირატესობა ორ გოლად აქცია.

„აბრეზას" სამწუთიანი აფეთქება ძვირად დაუჯდათ ვიტელებს. სულიკომ 27-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე გაილალა, მცველებს დაუსხლტა და საჯარიმოში ბაჯელიძე მოძებნა. „მერანის" ნახევარმცველმა, თავის მხრივ, მეურვე ჩამოიცილა, შემობრუნდა და მერლანს ბურთი შორეულ დაბალ კუთხეში დაურტყა. სტუმართა მეკარე უძლური იყო.

სამი წუთის შემდეგ დავითაშვილმა კარგი პასით გაგუა მერლანს პირისპირ შეატოვა. მეკარემ დარტყმულს ხელი წაატანა, მაგრამ ბურთის შეჩერება ვერ შეძლო.

მეორე ტაიმი ორი ახალი მოთამაშით დაიწყო „ვიტ ჯორჯიამ". კარნევალიმ ფეიქრიშვილი და მიხეილ ცქიფურიშვილი შეუშვა მინდორზე. სულ ცოტა ხანში იტალიელმა არეშიძეც გაიხმო მოედნიდან და კიდევ ერთი თავდამსხმელით გააძლიერა შეტევა. კახა წუწუნავას შეეძლო, მატჩის გმირიც გამხდარიყო, მაგრამ...

„ვიტ ჯორჯიამ" მესამოცე წუთიდან დალაგებულად შეუტია. მასპინძლებმა შეცდომებს უხშირეს და ჯერ ნაჭყეპიასთან პირისპირ დარჩენილი ადამიას დარტყმის შემდეგ გადარჩნენ, მერე გოგობერიშვილის ჯარიმიდან დარტყმული და მეკარისგან თითებშევლებული ბურთი მოხვდა ხარიხას.

სტუმრებმა თავისი გოლი მაინც გაიტანეს. გოგობერიშვილის და წუწუნავას მიერ გათამაშებული კომბინაციის ჩაშლა ავჭალელებს პენალტად დაუჯდათ. ორ მცველთან ბრძოლაში წუწუნავამ ბურთის დაკარგვის საშიშროება რომ იგრძნო, მისკენ წამოსულ მერანელს ფეხი წამით „დაუტოვა" და... ვერაფერს იტყოდით, ყველაფერი ოსტატურად იყო შესრულებული და წესის დარღვევაც დაფიქსირებული.

გოგობერიშვილს, რომელსაც მაინცდამაინც საუკეთესო დღე არ ჰქონდა, დარტყმა ზუსტი გამოუვიდა. ნაჭყეპიამ ბურთის მიმართულება კი გამოიცნო, მაგრამ...

გოლის გატანა მეორე ტაიმში მასპინძლებსაც შეეძლოთ. მუხინმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა, ხოლო მერლანმა მასთან პირისპირ შეყრილ გაგუას აჯობა.

...თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა მარჯვენა ფლანგზე ფეიქრიშვილმა მცველი ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი ზაზა ცქიფურიშვილს თავზე გადააფრინდა. უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ „მერანის" მცველი მომძლავრებულმა ქარმა შეაცდინა. კარის წინ კი ბურთს წუწუნავა ელოდა, რომლის თავურის შემდეგ ავჭალელმა ქომაგებმა წამის მანძილზე ჯერ ამოიოხრეს, მერე კი სიხარულის შეძახილიც მოასწრეს. ვიტელის დარტყმული ნაჭყეპიას კარს მცირედით ასცდა.

მეტი შანსი სტუმრებს არ ჰქონდათ, თამაშის ბოლოს კი ერთ-ერთმა ავჭალელმა დაიძახა, „ვიტ ჯორჯია" დღეს მაინც განწირული იყო, პირველ ტაიმში თავს ცისარტყელა დაგვბრჭყვიალებდაო.

მართლაც იშვიათი სანახაობის მომსწრენი ვიყავით „სინათლეზე" შეკრებილნი. იქაურობას საკმაო ხანს ორ რკალად გადაჭიმული ცისარტყელა დაჰნათოდა.



მერანელი გიორგი ილურიძე (მარცხნივ) და ვიტელი გიორგი არეშიძე

ფოთი. 8 სექტემბერი. 17.30 საათი. ფაზისი. 1 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 4:1 გორდა

1:0 კვირკველია (8), 1:1 მელაძე (37), 2:1 ფანჩულიძე (66), 3:1 მუმლაძე (77), 4:1 [illegible]

**კოლხეთი:** 12 ჩემია; 3 ტორჩინავა; 2 ქუტიძე, 4 მიქელთაძე, 10 ფანჩულიძე; 9 აბვლედიანი, 5 შ. ქობულაძე, 11 კვირკველია; 18 კ. კვეტენაძე; 20 ე. გვასალია, 17 მუმლაძე.

მწვრთნელი: სოსო ფილია

**გორდა:** 22 კოროშინაძე; 4 დ. ბერიძე, 2 ბექაური, 3 ბურნაძე, 13 ზვ. ლაბაძე; 21 ალადაშვილი; 17 ა. ბუკია, 8 მელაძე, 6 კილასონია, 7 ზ. ლაბაძე; 20 რ. გოცირიძე.

მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

შეცვლა: ბუკია — 16. ლ. კაპანაძე (46), ზ. ლაბაძე — 11. ჯელაძე (46), აბვლედიანი — 7. კრასოვსკი (61), ზვ. ლაბაძე — 23. ა. ლურსმანაშვილი (68), კვეტენაძე — 8. ვ. ყურაშვილი (74)

გაფრთხილება: კაპანაძე (48), ტორჩინავა (58), ბექაური (80)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); მ. მაღალურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| | | |
|---|---|---|
| 12 | ჯარიმა | 19 |
| 10 | კუთხური | 4 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 10 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 9 |

# ფანჩულიძე, შენ არანორმალური ხარ!

გიორგი ვაშაკიძე ფოთიდან

**სოსო ფილიამ** „ფაზისზე" შეკრებილ ქომაგებს სიურპრიზი მოუმზადა, როცა „კოლხეთის" კარის დაცვა გუნდში მესამე გოლკიპერად მიჩნეულ ყმაწვილ ბიძინა ჩემიას ანდო, თადარიგში კი სულაც ჩემიაზე გაცილებით უმცროსი გიზო შენგელია გახლდათ. ზურაბ ქვაჩახიას თავს დატრიალებული უბედურება ალბათ მოგეხსენებათ პარასკევის „სარბიელიდან", მაგრამ ფოთელებმა დაგვამშვიდეს, ზურა ახლა თბილისშია, საავადმყოფოში, მისი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებაო. კოლხთა 34 წლის მეკარე მამუკა გვასალიას კი ბოლნისის „სიონთან" თამაშის მერე არც უვარჯიშია, ფილტვების ანთება ჰქონდა და მხოლოდ ახლა გამოჯანმრთელდაო. აი, მიზეზი, რის გამოც იდგა ჩემია კარში. ფილიას სხვა გზა არ ჰქონდა, გარისკა და გაუმართლა კიდეც. მეკარემ საოცრად თავდაჯერებულად ითამაშა, თუმცა რომ ნერვიულობდა, მაინც ეტყობოდა. აკი რუსთაველი მელაძის საპასუხო გოლიც მის შეცდომას მოჰყვა, როდესაც ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა, რეაგირება დააგვიანა.

„გორდა" მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ეწვია „ფაზისს" სრული შემადგენლობით. მხოლოდ ივანე ჯუღელი დატოვეს რუსთავში, ფორმაში არ არისო. ეწვია და ვარლამ კილასონიას თავკაცობით ფიცხელი ბრძოლა გაუმართა მასპინძლებს. მიუხედავად დიდი ანგარიშით წაგებისა, რუსთაველებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ის კი არა, ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ, იქნებ ქულისთვისაც კი გამოეკრათ ხელი. „კოლხეთმა" სწორი, გამართული ფეხბურთი ითამაშა. რომ ნაღვლობდა კოლხთა თავკაცი, გუნდში გამთამაშებელი არ მყავსო, კახა კვეტენაძემ ეს პრობლემა მოუხსნა. „კვეტე", სანამ შეცვლიდნენ, როგორც შეეძლო, ფორვარდებად გამწესებულ ელდარ გვასალიას და შალვა მუმლაძეს პასებით ამარაგებდა. ფლანგებზე კვირკველია და აბვლედიანი იყვნენ, ლიბერო კი, როგორც ყოველთვის, გამოცდილი ტორჩინავა გახლდათ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რუსთაველთა შეტევების სული და გული უფროსი კილასონია იყო. მელაძემ რომ გაიტანა, იუველირული სიზუსტის პასი ვარლამისა იყო.

მაგრამ შაბათს „ფაზისზე" იყო კიდევ ერთი მოთამაშე, ყველასგან რომ გამოირჩეოდა. ფუტკარივით მუშა გელა ფანჩულიძეს მთელი 90 წუთი არ შეუსვენია და აქეთ-იქით იმდენი ირბინა, სანამ 66-ე წუთზე იშვიათი სილამაზის გოლი არ გაიტანა: კვეტენაძის პასის შემდეგ ბურნაძეს მკერდით საჰაერო დუელი მოუგო და საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილმა კოროშინაძეს შორეულ ცხრიანში გაუჭედა ბურთი. პრესკონფერენციაზე რუსთაველთა ტექნიკურმა დირექტორმა თამაზ გაბრიჭიძემ მეკარე დაადანაშაულა, ასეთი ბურთი არ უნდა გაეშვაო. ასე იყო თუ ისე, ფანჩულიძემ ძლიერ გაიხარა, სარბენ ბილიკზე ლამის აცეკვდა, ტრიბუნაზე მსხდომი ფოთელი ქომაგები კი კომპლიმენტებად დაიღვარნენ: „ყოჩაღ, გელა, როგორი არანორმალური ფეხბურთელიც ხარ, ისეთი სილამაზის გოლები გაგაქვსო". 2:1-ზეც არ გამტყდარა „გორდა", რეზო გოცირიძეს მანამდეც და მერეც შეეძლო მასპინძელთა გამწარება. რუსთაველები ბედს მას მერე შეურიგდნენ, როცა მესამე გაუშვეს, თუმცა ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. 77-ეზე ელდარ გვასალიამ ნატიფი პასი მიაწოდა მუმლაძეს, შალვაც კოროშინაძესთან პირისპირ დარჩა და გატანა არ გასჭირვებია. აქ რუსთაველები თანამსაჯ კობა გაბრიაძეს ემართლებოდნენ, თამაშგარე იყოო. ძნელია ამტკიცო, იყო წესის დარღვევა თუ არა, ფაქტი კი ისაა, რომ ავთო შალამბერიძემ გოლი ჩათვალა...

***თამაზ გაბრიჭიძე, „გორდას" ტექნიკური დირექტორი:*** „კოლხეთმა" უკეთ ითამაშა და დამსახურებულად მოგვიგო. თამაში თანაბარი იყო, თუმცა მეკარემ იმედები გაგვიცრუა, დაცვამაც აშკარად სუსტად ითამაშა. მსაჯობით კმაყოფილნი ვართ, თუ გაბრიაძეს არ ჩავთვლით. ვფიქრობ, მას ალამი უნდა აეწია".

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:*** „ყოველი თამაშის დაწყებამდე გუნდს ნახევარსაათიან მითითებებს ვაძლევ. დღეს თითქმის 45 წუთს ველაპარაკე. ტრადიციულად ორი უხერხული მეტოქე გვყავს — „გორდა" და გორის „დილა". ამიტომაც გავაფრთხილე ბიჭები, რუსთაველებმა ზედიზედ სამჯერ რომ წააგეს, ეს არაფერს ნიშნავსმეთქი. მოვიგეთ და ბალანსი გავათანაბრეთ, ახლა ორივეს 9-9 მოგება გვაქვს.

# გურიელიძე წავიდა?

ლანჩხუთი. 8 სექტემბერი. 17.30 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 1 000 (ტევადობა 22 000)

## გურია 0:0 სიონი

მარლიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (34, ააცილა)

**მწვრთნელი:** ზაზა გურიელიძე

1 გ. დოლიძე
2 ებრალიძე
17 კაციაშვილი
14 ფაცურია
3 ორბელაძე
4 პატარიძე
15 ხუჭუა
16. ენდელაძე
9. მარლიშვილი
10 პატარაია
11 კ. მეტრეველი

16. ბ. შენგელია
10 ისიანი
6 ამბიძე
11 მოსეშვილი
8 გოგოლაძე
5 ბარნოვი
7 მინდიაშვილი
9 სიდამონიძე
3 ირემაშვილი
18. შ. ლაცაბიძე
1 ვოლკოვი

**მწვრთნელი:** ფირუზ რეხვიაშვილი

**შეცვლა:** გოგოლაძე — 15. მინაშვილი (46), პატარაია — დ. ოდიკაძე (59), ენდელაძე — 6. ლ. ჩხაიძე (66), ამბიძე — 14. დაუშვილი (76), ისიანი — 2. კ. გოდერძიშვილი (89)

**გაფრთხილება:** კაციაშვილი (5), შენგელია (68), ირემაშვილი (72), მარლიშვილი (72), ბარნოვი (87), ხუჭუა (90)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგაძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 29 |
| 7 | კუთხური | 1 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

**მეცამეტე** ეროვნულის აგერ უკვე მეექვსე ტური მიილია და „გურიას" კვლავაც ვერ გაუმარჯვია. ორადორი ფრეა მის აქტივში და ერთადერთი ნუგეშია ის, რომ ბოლო ადგილზე ქულის ამარა დარჩენილი „მეტალურგია".

ლამის გადამწყვეტი ეთქმოდა გურულთათვის „სიონთან" მატჩს. ქომაგები მათგან უცილობლად მოგებას ითხოვდნენ. სხვაგვარი შედეგი უდავოდ პასივში ჩაეთვლებოდა ზაზა გურიელიძეს, რომლის ბედიც სწორედ ამ სამ ქულაზე ეკიდა. ნამატჩევს მისი ნახვა ვერ მოხერხდა, მაგრამ ცხადია, რომ გურიელიძემ გუნდი დატოვა. ყოველ შემთხვევაში, კლუბის თავკაცებს ოფიციალურად ამის შესახებ არ განუცხადებიათ. თუმცა ახალი მწვრთნელის ძიება რომ დაწყებულია, ეს ფაქტია.

დღესდღეობით „გურიას" ახალ დამრიგებლად სამი კანდიდატურა მოიხსენიება — ოთარ კორღალიძე, გოჩა ტყებუჩავა და გიგლა იმნაძე. არც წარმატებით მოთამაშე გურულთა ფარმკლუბის თავკაცი ავთო ნარიაშვილი უნდა გამოვრიცხოთ. ლანჩხუთში სწორედ მის მესაჭეობას თვლიან სასურველ ვარიანტად და შეიძლება ასეც მოხდეს.

რაც შეეხება შაბათის მატჩს, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ის საკმაოდ დაძაბული და ნერვიული გამოდგა. სანახაობრივი მხარეც სწორედ ამან დაჩრდილა. მასპინძლებს რასაც ვერ დაუკარგავ, უპირველესად მონდომებაა, თუმცა შედეგის მოსამკელად მარტო მცდელობა რომ არ კმარა, ეს აღრეც უგრძვნიათ გურულებს.

შესვენებამდე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და მასპინძელთა მოჭარბებულ ენთუზიაზმს სტუმრებმა საკმაოდ ორგანიზებული თამაში შეაგებეს, პირველ ზეწოლას იოლად გაუძლეს და საგოლე სიტუაცია თავად შექმნეს. მე-17 წუთზე ამბიძის პასით ისიანი მარცხნიდან დაუპირისპირდა დოლიძეს, თუმცა მეკარის თავსგადავლებულმა ბურთმა ცარიელ კარში შესვლა არ ინება და ოდენ ხარიხას მოხვდა.

სამ წუთში „გურიამაც" მწვავედ უპასუხა „სიონს". მარლიშვილის ფლანგიდან ჩაწოდებულს შორეულ ძელთან პატარაია ჩაუსაფრდა და ხუთიოდ მეტრიდან თავით უხეიროდ დაარტყა.

ამის შემდეგ გურულები უსისტემოდ უტევდნენ და კარგა ხანს ვერაფერი მოახერხეს. მაგრამ 34-ე წუთზე შეეძლოთ მატჩის ბედის გადაწყვეტა. იყოჩაღა მეტრეველმა, რომელმაც მარტომ იბრძოლა. საჯარიმოში შეიჭრა და სიდამონიძეს თავიც წააქცევინა. პაატა დოგრაშვილმა პენალტი უყოყმანოდ დანიშნა, მაგრამ ამაოდ. მარლიშვილმა დაახლოებით ისევე ააცილა, როგორც ჰოლანდიელმა სტამმა შარშანდელ ევრო 2000-ზე.

თემურ მახარაძემ „სიონი" მხოლოდ ერთი თავდამსხმელით ათამაშა და ეულად გარჯილ ბესიკ შენგელიას გურულ მცველებთან გამკლავება გაუჭირდა. ჰოდა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე მახარაძემ მეორე მოიერიშე, მინაშვილს უხმო მოედანზე. თითქოს შეტევა უნდა გაეძლიერებინათ ქართლელებს, მაგრამ პირიქით კი მოხდა. „გურიამ" ინერტულად გარჯილ მეტოქეს ინიციატივა წაართვა და მთელი მეორე ტაიმი შეტევებში გაატარა. განსაკუთრებით აირია ბოლნისელთა მარცხენა ფრთა, სადაც დავით ხუჭუა ნავარდობდა. მისი გარღვევები უაღრესად მწვავე კი იყო, მაგრამ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს უმთავრესად ვოლკოვი ეუფლებოდა. გურულები უტევდნენ, ოღონდ უკბილოდ და არეულად. ზაზა გურიელიძის შეგირდებს ერთადერთხელ მიეცათ გოლის გატანის შანსი. მეტრეველი ვალდებულიც იყო, ბედის ჩარხი წალმა დაეტრიალებინა, მაგრამ ახლოდან თავური პირდაპირ ვოლკოვს დაუმიზნა, რომელმაც ფეხით შეძლო ბურთის მოგერიება.

ბოლო წუთების შტურმიც ამაო გამოდგა და დოგრაშვილის საფინალო სასტვენმა ყველაფერი ცხადყო — ბოლნისელთა სიხარული და გურულთა უზომო სასოწარკვეთა.

ნამატჩევს ჯოხი რატომღაც მსაჯებზე გადატყდა. „გურიას" უფროსობა თავისი გუნდის უნიათო თამაშზე მეტად დოგრაშვილის გარჯამ ალაშფოთა. არადა, მსაჯობაში შეცდომები მრავლად შეინიშნებოდა, მაგრამ შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. უბრალოდ ეჭვის საფუძველი ფედერაციამ შექმნა, დოგრაშვილი „სიონის" საშინაო მატჩის შემდეგ ლანჩხუთშიც რომ დანიშნა.

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

**წინა** ორ საშინაო შეხვედრაში გამარჯვებული „სამგურალი" ამჯერად ოდენ ქულას დასჯერდა. არადა, მეტოქედ მაჩანჩალა ჰყავდა, გუნდი, რომელსაც ხუთ ტურში ქულა რომ ქულაა, ისიც ვერ აელო და ამის გამო მთავარი მწვთნელიც შეეწირა. ვასო ჭეიშვილის შემცვლელს ზაურ ჩუბინიძეს, ვინც „მეტალურგს" ადრეც რეგიონალურ ლიგაში წვრთნიდა, მატჩის შემდეგ არაფერი დაუმალავს, ზესტაფონელთა, მაინც ასე ჰქვია, ახალმა თავკაცმა, ალალად თქვა: „წყალტუბოში ფრე გვაწყობდა და საწადელს მივაღწიეთ. მეტოქის თამაშზე გარკვეული წარმოდგენა მქონდა. მთავარი იყო მოედნის ცენტრის არდათმობა და ვაჩიბერაძის ნეიტრალიზაცია, რასაც მაღლაკელიძემ მშვენივრად გაართვა თავი. საერთოდ, ბიჭებმა მოინდომეს და თუ ასევე გავაგრძელებთ, მდგომარეობის გამოსწორებაც არ იქნება შეუძლებელი, თუმც ისიც უნდა ვაღიარო, ძლიერი ფეხბურთელები თუ არ დავიმატეთ, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდება".

სასწრაფო დახმარების მანქანის დროულად მოუსვლელობის გამო დაგვიანებული მატჩი წყალტუბოელებმა თითქოს ჩვეულად დაიწყეს. ხუთ წუთში მათ ორი მწვავე იერიში მიიტანეს „მეტალურგის" კარზე. ამის შემდეგ გაუჭირდათ, სურვილის მიუხედავად ვერა და ვერ დაალაგეს თამაში, ეგ კი არა, ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ, ხოლო სადღაც შუა ტაიმში „მეტალურგის" უპირატესობა თვალნათელი გახდა. ჩუბინიძის შეგირდებმა თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და 25-ე წუთზე სუხიაშვილს საჯარიმოს წინა ხაზიდან ოდნავ რომ არ აეცილებინა, ალბათ, ანგარიშიც გაიხსნებოდა. ამის შანსი, თანაც გაცილებით ხელსაყრელი, ზესტაფონელებს ორ წუთშიდაც მიეცათ, მაგრამ რად გინდა, ვერ გამოიყენეს. კრავეიშვილი მარცხენა ფლანგიდან მიუახლოვდა საჯარიმოს და კარის გასწვრივ გაგზავნა, იქ მცველი შეცდა და ბურთი ფირცხალაიშვილს მიუვიდა, თავდამსხმელი 7-8 მეტრიდან ურტყამდა კარში, მაგრამ ბოლოკიამ სასწაულებრივ მოიგერია, უფრო გასაკვირი კი ის იყო, როგორ მოასწრო მეკარემ იმ წამსვე კრავეიშვილის ხუთიოდ მეტრიდან დამატებულზე რეაგირება.

სტუმრები შესვენებამდე ხუთი წუთით ადრეც ახლოს იყვნენ მიზანთან, ოღონდ ერთხელაც არ გაუმართლათ. სუხიაშვილის პასით კრავეიშვილმა 15 მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი.

ვერ გეტყვით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, „მეტალურგს" მეორე ნახევარში უკან რომ არ დაეხია. აშკარად იგრძნობოდა, ზესტაფონელები ქულაზე იყვნენ ყაბულს და თამაშის გამწვავებას ერიდებოდნენ. მასპინძლებს კი ვერ იცნობდით. ასე განსაჯეთ, 65-ე წუთამდე მათ მეტოქის კარში ვერ დაარტყეს, ხოლო ერთადერთი საგოლე მომენტი „მეტალურგის" კართან სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა. კახა ჯანაშიამ თამაშის მიწურულს შორიდან, თანაც მახვილი კუთხიდან შეასრულა საჯარიმო და ბურთი ხარიხას მოარტყა.

„სამგურალის" ასე სუსტად თამაშის მთავარი მიზეზი ის არის, რომ წყალტუბოურ კლუბს ფინანსური საკითხები ვერ მოუგვარებია. მაინც რა გახდა ეს სამი თვის ხელფასი, ზოგიერთი კლუბის, ჰო, ჩვენებურის, ფეხბურთელის კვირის ჯამაგირს რომ ვერ გაუტოლდება.

ერთი სიტყვით, შემთხვევით არ იქადნებოდნენ მატჩის შემდეგ წყალტუბოელი ფეხბურთელები, უახლოეს დღეებში ხელმძღვანელობამ ვალები თუ არ გაგვისტუმრა, გავიფიცებითო.

# გეფიცებით, გავიფიცებით!

წყალტუბო. 8 სექტემბერი. 17.40 საათი. 26 მაისი. 600 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 0:0 მეტალურგი

**მწვრთნელი:** გია გიგატაძე

1 ბოლოკია
3 ფრანგიშვილი
2 ბერაძე
24 ბანძელაძე
9 კიკვიძე
17 შ. ლონდაძე
10 დარსაძე
7 ჯინჭარაძე
15 კოპალიანი
18 გ.ა. მიქაძე
11 ვაჩიბერაძე

10 კრავეიშვილი
11 ფირცხალაიშვილი
6 ამაშუკელი
16 გეწაძე
8 სუხიაშვილი
7 ჭყონია
14 მემარნიშვილი
4 მერებაშვილი
5 მაღლაკელიძე
3 ლურსმანაშვილი
1 მერკვილიშვილი

**მწვრთნელი:** ზაურ ჩუბინიძე

**შეცვლა:** მემარნიშვილი — 2. გოგაძე (64), კიკვიძე — 12. კ. ჯანაშია (68), ლონდაძე — 4. ფხაკაძე (68), მერკვილიშვილი — 12. თ. ოდიკაძე (82), კრავეიშვილი — 9. ხმალაძე (82)

**გაფრთხილება:** სუხიაშვილი (4), დარსაძე (7), ამაშუკელი (32), კოპალიანი (47), ლურსმანაშვილი (79)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 22 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 2 | კარში დარტყმა | 3 |
| 8 | თამაშგარე | 3 |

**საქართველოს 13 ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. პირველი ეტაპი**

### მეექვსე ტური

ლოკომოტივი — დინამო 2:1; სამგურალი — მეტალურგი 0:0; ტორპედო — ბათუმი 2:1; კოლხეთი — გორდა 4:1; გურია — სიონი 0:0; მერანი — ვიტ ჯორჯია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 6 | 0 | 0 | 16:1 | 18 |
| მერანი | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 16 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:8 | 12 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 12 |
| ბათუმი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 10:7 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 |
| სიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| გორდა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | 4 |
| გურია | 6 | 0 | 2 | 4 | 3:9 | 2 |
| მეტალურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:16 | 1 |

**საქართველოს 13 ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი ეტაპი**

### მეხუთე ტური

მერანი 2 — თორი 1:3; დინამო 2 — დილა 0:4; ხობი — ცხინვალი 0:0; სამტრედია — ლაზიკა 2:0; ქობულეთი — თსუ 0:0; მილანი — ლოკომოტივი 3 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 5 | 5 | 0 | 0 | 18:1 | 15 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:2 | 10 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ქობულეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 3:4 | 10 |
| თსუ | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | 7 |
| ხობი | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 7 |
| ლაზიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:10 | 7 |
| ლოკომოტივი 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| სამტრედია | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| დინამო 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| მერანი 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |
| თორი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:14 | 3 |

**საქართველოს 13 ჩემპიონატი. რეგიონული ლიგა. პირველი ეტაპი**

### მესამე ტური

აღმოსავლეთი ზონა

ალაზანი — მესხეთი 5:4; გორდა 2 — ჯავახი 9:1; ვარძია — ცხუმი 1:0; ვიტ ჯორჯია 2 — კრწანისი 8:0; ივერია — მერანი 3 4:0; მცხეთა — ლიახვი 2:0; აკადემია — თბილისი 1:1; დინამო 3 — მაუდი, ოლიმპიკი — ჭაბუკიანი და ზოოვეტი — მრეტები გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| აკადემია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ივერია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ვარძია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ალაზანი | 3 | 2 | 0 | 1 | 12:6 | 6 |
| ოლიმპიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 10:2 | 5 |
| გორდა 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 9:1 | 5 |
| ცხუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ლიახვი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ჭაბუკიანი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მრეტები | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მაუდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მერანი 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 |
| დინამო 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მესხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| კრწანისი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:15 | 0 |
| ჯავახი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:20 | 0 |

დასავლეთი ზონა

კოლხეთი 2 — საპოვნელა 2:2; ინტერი — სქური 4:1; ბათუმი 2 — საირმე 0:1; მერცხალი — ჩიხურა 3:0; სოხუმი — სალხინო 0:2; სამეგრელო — ლუკა 1:0; სულორი — მალაროელი 5:1; გურია 2 — გზები 4:0; მეტალურგი 2 — ეგრისი 1:3; ზუგდიდი — ოკრიბა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| სულორი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| გურია 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| ზუგდიდი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| საირმე | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| სამეგრელო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| სალხინო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ეგრისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| საპოვნელა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| მეტალურგი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| მალაროელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| ლუკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ბათუმი 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სქური | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| კოლხეთი 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სოხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| ოკრიბა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |
| გზები | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | 0 |

## საქართველოს თასი

**მესამე ეტაპი. 9 სექტემბერი**

ოლიმპიკი (თბილისი) 0:1 *მაუდი (თბილისი)*
*ზოოვეტი (თბილისი)* 0:0 (2:0დ.დ.) ჭაბუკიანი

**მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები. 12 სექტემბერი**

**დილა** გორი (I) — **დინამო 2** თბილისი (I)
**სიონი** ბოლნისი — **ლოკომოტივი 3** თბილისი (I)
**გორდა** რუსთავი — **ცხინვალი** (I)
**მილანი** წნორი (I) — **მერანი 2** თბილისი (I)
**თსუ** თბილისი (I) — **მაუდი** თბილისი (II)
**კოლხეთი** ფოთი — **ლაზიკა** ზუგდიდი (I)
**ბათუმი** — **სულორი** ვანი (II)
**გურია** ლანჩხუთი — **კოლხეთი 2** ფოთი (II)
**სამგურალი** წყალტუბო — **ხობი** (I)
**მეტალურგი** ზესტაფონი — **სამტრედია** (I)
**ქობულეთი** (I) — **თორი** ბორჯომი (I)
**მერანი** თბილისი — **ზოოვეტი** თბილისი (II)

**საპასუხო მატჩები 26 სექტემბერს გაიმართება**

**ქუთაისის „ტორპედო", თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „დინამო" და თბილისის „ვიტ ჯორჯია" გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაებმებიან**

## ინგლისი

IV ტური

### დერბი ქაუნთი 0:0 ვესტ ჰემი

დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ბოერტიენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, მავენი, ბარლი, დ. პაუელი, ს. ჯონსონი, ქინქლაძე, რავანელი, დ. ბარტონი (ლ. მორისი 80)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, უინტერბერნი, სონგი, დეილი, შემელი, ტ. სინკლერი, კარიკი, ჰატჩისონი, ჯ. კოული (მონკუ 85), კანო (ტოდოროვი 54), დი კანიო (დეფო 80)
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: რავანელი, ბარლი, რიგოტი, ჯონსონი, ბარტონი, ჰატჩისონი, დეილი
მსაჯი: უილკისი
27 802 მაყურებელი

### ჩარლტონი 1:1 ფულემი

1:0 მელვილი (34ს.კ.), 1:1 ბოა მორტე (38)
ჩარლტონი: კიელი, ფიში, ტოდი, ს. ბრაუნი, ლ. იანგი, პარკერი (კონჩესკი 70), იუელი, გრემ სტიუარტი, კ. პაუელი, ლისბი (ჯ. რობინსონი 46), ბარტლეტი (სალაკო 80)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, საიმონსი, ბრევეტი, ლეგვინსკი, შ. დევისი, კლარკი (მალბრანკი 62), კოლინზი, საჰა (ჰეილსი 77), ბოა მორტე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ბრაუნი, ბარტლეტი
მსაჯი: უინტერი
20 451 მაყურებელი

### ტოტენჰემი 2:0 საუთჰემპტონი

1:0 ციგე (76), 2:0 ს. დევისი (87)
ტოტენჰემი: სალივანი, დოჰერტი, ბუნიევჩევიჩი, კინგი, ტარიკო, ანდერტონი (ლეონარდსენი 80), ფრიინდი, ს. დევისი, ციგე, ლ. ფერდინანდი, შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დელაპი, ელ ხალეჯი, რიჩარდსი, ბრიჯი, სვენსონი (დრეიპერი ..), ტესემი (მიურეი 82), ოკლი, პახარსი (ბიტი 73), როსლერი, კ. დევისი
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
მსაჯი: უილი
33 668 მაყურებელი

### ჩელსი 1:1 არსენალი

0:1 ანრი (17), 1:1 ჰასელბაინკი (31პ)
ჩელსი: დე გუი, დესაი, გალასი, ტერი, ლე სო, ლამპარდი, პეტი, ზენდენი (მელხიოტი 90), გრონკიაერი (სტანიჩი 83), ჰასელბაინკი, ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, კიოუნი, ადამსი (ს. კემბელი 77), გრიმანდი, ლორენი, ვან ბრონკჰორსტი, პირესი, ანრი, ვილტორდი (ლიუნგბერგი 86), ბერხკამპი (კანუ 69)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: გრონკიაერი, პირესი, კოული, ვან ბრონკჰორსტი, კიოუნი, გრიმანდი
გაძევება: ჰასელბაინკი (71)
მსაჯი: რილი
40 855 მაყურებელი

### ლიდსი 0:0 ბოლტონი

ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, უილკოქსი (ბაკე 59), დაკური, ბეტი, კოუელი, ვიდუკა, რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჩარლტონი, ბერგსონი, ფარელი, უიტლოუ, ფრანდსენი, ნოლანი, პედერსენი, ბერნესი, ჰანსენი (რიჩარდსონი 82), რიკეტსი (ჰოლდსუორთი 84)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: დაკური, უიტლოუ
მსაჯი: ბენეტი
40 153 მაყურებელი

### ლესტერი 1:1 იფსვიჩი

0:1 მარკუს სტიუარტი (13), 1:1 სტარიჯი (90)
ლესტერი: ი. უოქერი, ფ. სინკლერი (გარი სტიუარტი 46), მარშალი, მ. ელიოტი, იმპი, დავიდსონი, სევიჯი, ლუისი, იზეტი, აკინბაი (სტარიჯი 63), სკოუკროფტი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
იფსვიჩი: სერენი, მაკინი, ჰრეიდარსონი, ბრემბლი, მაკგრილი, ფინიდი (ბრანაგანი 61), ჰოლანდი, მეჯილტონი, ჯ. რაიტი, როიზერი, მარკუს სტიუარტი (ა. არმსტრონგი 89)
გაფრთხილება: აკინბაი, სევიჯი, იზეტი, მაკინი, როიზერი, მეჯილტონი
გაძევება: სერენი (58), მარშალი (82)
მსაჯი: ნაითი
18 774 მაყურებელი

# დაღლილნი და დასვენებულნი



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ევერტონი. ენდი კოულმა და მისიანებმა ლივერპულელები გახედნეს

### ლივერპული 1:3 ასტონ ვილა

0:1 დაბლინი (31), 1:1 ჯერარდი (46), 1:2 ჰენდრი (55), 1:3 ვასელი (86)
ლივერპული: დუდეკი, ანშო (მერფი 76), ჰიიპია, რიისე (ვინალი 60), კარაგერი, მაკალისტერი, ბარმბი (ოუენი 60), ჰამანი, ჯერარდი, ფაულერი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ა. რაიტი, მელბერგი, ალფაი, ბოატენგი, ლ. ჰენდრი (სტონტონი 89), მერსონი (ჰაჯი 70), კაჩლოული, ვასელი, დაბლინი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ბარმბი, კარაგერი, ვინალი, მელბერგი, ალფაი
გაძევება: ჯერარდი (74)
მსაჯი: დურსო
44 102 მაყურებელი

### მანჩესტერ იუნ. 4:1 ევერტონი

1:0 ვერონი (22), 2:0 კოული (40), 3:0 ფორჩუნი (46), 3:1 კემბელი (68), 4:1 ბექემი (90)
მანჩესტერ იუნ: ბართეზი, გ. ნევილი (სილვესტრი 58), უესლი ბრაუნი, ბლანი, ფ. ნევილი, ჩედვიკი (ბექემი 77), ვერონი, როი კინი, ფორჩუნი, ენდი კოული, იორკი (ვან ნისტელროი 78)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ევერტონი: ჟერარი, ანსუორთი, სტაბსი (ტალი 75), ვეირი (ნავიერი 65), უოტსონი, ალექსანდერსონი (მური 65), ჯემილი, პემბრიჯი, პისტონე, კ. კემბელი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ვეირი
მსაჯი: გალაჰერი
67 534 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:4 ნიუკასლი

1:0 კუპერი (4), 1:1 შირერი (34პ), 1:2 დაბიზასი (59), 1:3 რობერი (62), 1:4 შირერი (76)
მიდლსბრო: შვარცერი, ვიკერსი, ფლემინგი, საუთგეიტი, კუპერი, ჯონსტონი (გრინი 77), მასტო, ინსი, გრინინგი, ლინი, უინდასი (კროსლი 32)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი (ობრაიენი 77), დაბიზასი, ა. ჰიუზი, რ. ელიოტი, სოლანო, აკუნია, ლი, რობერი, შირერი (ამეობი 81), ბელამი (ლუა-ლუა 81)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ინსი, ლი, ბელამი, გივენი
გაძევება: შვარცერი (31)
მსაჯი: პოლი
30 004 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:0 ბლეკბერნი

1:0 ქუინი (81)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, გრეი, კრადოკი, მაკკარტნი, რაე (კილბეინი 76), შვარცი, გევინ მაკკენი, არკა, ფილიპსი, ლასლანდი (ნ. ქუინი 62)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ბერგი, ბიორნებიუ, მ. ტეილორი, დაფი, ფლიტკროფტი, მაჰონი (მ. ჰიუზი 60), გილესპი (მაკატირი 72), იანსენი, ნაილი, ბენტი (თუგაი 60)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: მაკკარტნი, არკა, გილესპი, ჰიუზი, ბერგი
მსაჯი: დინი
45 103 მაყურებელი

**„ბოლტონ უონდერერსმა"** გოლი ველარ გაიტანა, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა. საშინელი რბენითა და ჭიდილით გამორჩეულ მატჩში, ლიდსის „ელანდ როუდზე", მასპინძლებმა გოლი ვერ გაუტანეს პირველი დივიზიონიდან წლეულს გადმოსულ ლიდერებს. მარკ ვიდუკას და რობი კინს შაბათ საღამოს მიზანიც არეოდათ და ბოლტონელებიც მაგრად იდგნენ. „ეს ფრე წინა სამ მოგებას უდრის — თქვა სტუმართა მენეჯერმა სემ ოლიარდისმა — ჩვენ გავუძელით ლიგის ყველაზე თავზეხელაღებულ გუნდს". მასპინძელთა თავკაცმა დევიდ ოლირიმ კი სამაგალითო საბრძოლო სული შეუქო პრემიერლიგის ლიდერს.

„ლიდსს" რომ მოეგო, ცხრილის სათავეში მოექცეოდა, „სტემფორდ ბრიჯზე" კი ლონდონელ კოსმოპოლიტთა ჭიდილი გაიმართა: „ჩელსი" — „არსენალი". ამ კონტინენტური სულით გაჯერებულ თამაშში ორი გოლი გავიდა და თავიდან მეთოფენი იგებდნენ — ტიერი ანრიმ კარგად დასცხო ჩელსელთა მეკარის მოგერიებულს. მასპინძლებმა 15 წუთში გაათანაბრეს, ჯანფრანკო ძოლას მოცელვისთვის დანიშნული პენალტი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გამორბენის გარეშე ჩააჭედა კარში. „ჩელსი" უკეთესად გამოიყურებოდა, ძოლა საუცხოო იყო, მსაჯმა კი ტყუილად გააძევა ჰასელბაინკი, რომელსაც სტუმართა მცველი მარტინ კიოუნი იმდენხანს ეჯაჯგურა, სანამ ცხვირპირში არ მოხვდა. „არაფერი მიქნია — თავს იმართლებდა გაძევებული — ხელით მიჭერდა და თავს რომ ვიხსნიდი, მგონი ჩემი კეფა მოხვდა ცხვირში".

ექვსი თვის თავზე პირველად გამოჩნდა „ნიუკასლის" სასტარტოში ალან შირერი და დუბლი შეასრულა. მიდლსბროში, სადაც მასპინძლები იგებდნენ კიდეც და მათ მენეჯერ სტივ მაკლარენს სამსახურის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ, „ბოროს" მეკარე მარკ შვარცერმა პენალტი და წითელი ბარათი ერთდროულად აიკიდა და მასპინძელთა განადგურებაც ამით დაიწყო. ჯამში, ჩრდილოელებმა 4:1 მოიგეს და „მიდლსბრო" პრემიერლიგის ერთადერთ გუნდად რჩება, ჯერ ქულა რომ არ აუღია. „ბოროელებს" ოდნავ აჯობა „ლესტერმა", რომელმაც სულ ბოლო წუთს, ასევე შინ, გამოგლიჯა ქულა „იფსვიჩს". „იფსვიჩი" მისმა მთავარმეგოლემ მარკუს სტიუარტმა დააწინაურა. მერე კი აქაც მეკარე გააძევეს: სტუმართა მატეო სერენიმ ასევე ერთდროულად მიიღო წითელი ბარათი და პენალტი. თუმცა, მასპინძელთა მაზი იზეტმა დაახლოებით კილომეტრით ააცილა ბურთი კარს. ამის მიუხედავად „ფილბერტ სტრიტის" პატრონები მაინც არ გამტყდარან და ბოლოს და ბოლოს დინ სტარიჯმა ქულა მოუპოვა თავის გუნდს. ლესტერელთა მენეჯერი პიტერ ტეილორი კმაყოფილი იყო: „სამი წაგების გამო ნუ გადაგვისვამთ ხაზს. ჩვენ წინ მივდივართ".

მთელი კვირის განმავლობაში ლაპარაკობდნენ, რომ შაბათს „ოლდ ტრეფორდზე" რვათვიანი შესვენების შემდეგ „ევერტონის" სასტარტოში გამოჩნდება პოლ გესქოინიო. ხმები არ გამართლდა: ჰალსტუხით დამშვენებული გაზა სტუმართა მენეჯერ უოლტერ სმიტს ეჯდა გვერდით, თუმცა, მასპინძელთა სათადარიგო სკამიდანაც ბევრი სახელოვანი ფეხბურთელი იმზირებოდა: რაიან გიგზი, რუუდ ვან ნისტელროი, პოლ სქოულზი და დევიდ ბექემი. სამაგიეროდ, დებიუტი ჰქონდა ლორან ბლანს, რომელსაც ბარტეზისთვის თავზე არ უკოცნია. „პირველი ტაიმი ზღაპრულად ვითამაშეთ — თქვა ალექს ფერგიუსონმა — მე ლუკ ჩედვიკს გამოვყოფდი. ბლანმა და უესლი ბრაუნმა გამოცდა ჩააბარეს. ეხუმრები დანკან ფერგიუსონისა და კევინ კემპბელის შეჩერებას?" „მანჩესტერმა" 4:1 მოიგო, ხუან ვერონმა დიდებულად ითამაშა და თავისი პირველი ინგლისური გოლიც გაიტანა, როი კინთან გათამაშებული კედლის შემდეგ. სულ ბოლს, შესვლაზე შესულმა ბექემმა შეაგდო.

„ჩემპიონობისთვის „მანჩესტერის" წინაამდეგ ბრძოლა ძნელია. როცა მოეხასიათებათ, მაშინ უმატებენ თამაშს" — ეს სიტყვები ჯერ კიდევ ზაფხულში თქვა „ლივერპულის" მენეჯერმა ჟერარ ულიემ და თითქოს ამის პასუხად, „ლივერპულმა" ზედიზედ მეორედ წააგო, ამჯერად შინ, „ასტონ ვილასთან". „ვილამ" ჩინებულად ითამაშა, მაშინ როცა, ლივერპულის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი, მათ შორის დებიუტანტი მეკარე ირჟი დუდეკი მთვარეულივით ირჯებოდა. გასული კვირის მსოფლიო გმირები მოქანცულნი ჩანდნენ. შეცვლაზე შესული მაიკლ ოუენი პასიური იყო, სტივენ ჯერარდმა ჯორჯ ბოატენგი მოცელა და გააძევეს. „ბიჭებს სანაკრებო კვირეულმა დაღი დაასვა, ლეგიონერებიც კი მოქანცულნი იყვნენ" — ამოიოხრა ულიემ. განა გამოცდილი და აწყობილი „ვილა" ამას ხელიდან გაუშვებდა?

სანდერლენდში კი გმირი შეიქნა უბერებელი ირლანდიელი ნაილ ქუინი, რომელიც შეცვლაზე შევიდა, სტეფან შვარცის ქროსი გოლად აქცია, ბოლო წუთზე კი თავისი კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. „სანდერლენდმა" 3 ქულა წაართვა „ბლეკბერნს".

გლენ ჰოდლმა პირველად გაიყვანა „ტოტენჰემი" თავისი ყოფილი გუნდის, „საუთჰემპტონის" წინააღმდეგ და ბოლო თხუთმეტ წუთშიღა დამშვიდდა: კრისტიან ციგეს მშვენიერი გოლისა და საიმონ დევისის მოქნილობის წყალობით მასპინძლებმა თამაშის ჩარხი თავის სასარგებლოდ დაატრიალეს. სტუმართა მეკარე პოლ ჯონსმა კი წამატებულ დროში წარმოუდგენელი თავური აუღო ლეს ფერდინანდს.

ჩარლტონში „ფულემი" სჯობდა იქაურებს, მაგრამ მაინც ვერ მოუგო. „ვესტ ჰემმა" კი, ისევე როგორც „ლიდსმა", ზედიზედ მეორე უგოლო ფრე ითამაშა, ამჯერად დერბიში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბოლტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 4 |
| 2 მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 4 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 3 ლიდსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 4 არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 |
| 5 ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 6 სანდერლენდი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 7 ნიუკასლი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 8 ჩელსი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 9 ასტონ ვილა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 10 ფულემი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 11 ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 12 დერბი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 13 იფსვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 14 ჩარლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 15 ბლეკბერნი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 16 ლივერპული | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 ვესტ ჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 18 ლესტერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | -9 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | -5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 19 საუთჰემპტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 20 მიდლსბრო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| საჰა (ფულემი) | 3 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 3 |
| ბექემი (მანჩესტერ იუნ.) | 3 |
| ანრი (არსენალი) | 3 |

V ტური

15 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა | სანდერლენდი |
| ბოლტონი | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | ლიდსი |
| დერბი ქაუნთი | ლესტერი |
| ევერტონი | ლივერპული |
| ფულემი | არსენალი |
| იფსვიჩი | ბლეკბერნი |
| მიდლსბრო | ვესტ ჰემი |
| ნიუკასლი | მანჩესტერ იუნ. |
| ტოტენჰემი | ჩელსი |

## პირველი დივიზიონი

VI ტური

### პრესტონი 1:2 ვულვერჰემპტონი

1:0 ლუკეტი (34), 1:1 სინტონი (48), 1:2 ლესკოტი (61)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ლესკოტი, ბატლერი, ნეილორი, კამერონი, ნიუტონი, რობინსონი, კენედი (სინტონი 38), რუსელი, პრუდლოკი (მილერი 82)
თემურ ქეცბაია განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
14 381 მაყურებელი

### უოტფორდი 3:0 უიმბლდონი

1:0 ვუტერი (45), 2:0 გეილი (48), 3:0 რობინსონი (53)

### ბარნსლი 2:2 სტოკპორტი

1:0 შერონი (48), 1:1 ფლინი (62), 2:1 ბრიგსი (64ს.კ.), 2:2 ტეილორი (90)

### ბირმინგემი 2:0 შეფილდ უენსდი

1:0 ენდრიუ ჯონსონი (43), 2:0 ჰიუზი (63)

### ბარნლი 3:0 როტერჰემი

1:0 იან მური (48), 2:0 ველერი (49), 3:0 პეიტონი (90პ)

### ქოვენთრი 0:1 გრიმსბი

0:1 ჯევონსი (59)

### ქრიუ 2:1 უოლსოლი

1:0 ჯეკი (38), 2:0 ლანტი (51), 2:1 სიმპსონი (76)

### კრისტალ პალასი 1:3 მილუოლი

1:0 მორისონი (45), 1:1 სადლიე (45), 1:2, 1:3 კლარიჯი (60, 90)

### ნორვიჩი 1:0 ნოტინგემი

1:0 ები (14)

### პორტსმუთი 2:1 ჯილინგემი

1:0 ბარეტი (58), 1:1 ონურა (34), 2:1 ზამპერინი (90)

### შეფილდ იუნაიტედი 2:2 ბრედფორდი

0:1 ჯესი (2), 1:1 კარლი (16), 2:1 ასაბა (36), 2:2 ტოდი (39)

### ვესტ ბრომვიჩი 4:0 მანჩესტერ სიტი

1:0 მაკინესი (1), 2:0, 3:0 კლემენტი (67, 79), 4:0 დობი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:8 | 15 |
| გრიმსბი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:6 | 13 |
| ბირმინგემი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| ნორვიჩი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:4 | 12 |
| ვულვზი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:5 | 11 |
| ბრედფორდი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 10 |
| პორტსმუთი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| სიტი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 9 |
| უოტფორდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ჯილინგემი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:3 | 7 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 |
| კრისტალ პალასი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:10 | 6 |
| მილუოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| ქრიუ | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| ნოტინგემი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| შეფილდი | 5 | 0 | 5 | 0 | 6:6 | 5 |
| ბარნსლი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:12 | 5 |
| ქოვენთრი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| უოლსოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| უიმბლდონი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| უენსდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| პრესტონი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:11 | 3 |
| როტერჰემი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:11 | 2 |
| სტოკპორტი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |

## მეორე დივიზიონი

მე-6 ტური: ბორნმუთი — სუინდონი 0:0; ბრენტფორდი — ტრანმერი 4:0; ბრაიტონი — ქუინზ პარკი 2:1; ბრისტოლი — პორტ ვეილი 1:1; ბერი — უიგანი 0:2; კოლჩესტერი — ნორთჰემპტონი 3:1; ნოტსი — რექსემი 2:2; ოლდემი — ბლეკპული 2:1; პიტერბორო — კემბრიჯი 1:0; რედინგი — კარდიფი 1:2; სტოკი — ჰადერსფილდი 1:1; უიკომბი — ჩესტერფილდი 0:0

## მესამე დივიზიონი

მე-6 ტური: დარლინგტონი — კარლაილი 2:2; ჰალიფაქსი — მაკლსფილდი 0:0; ჰალი — იორკი 4:0; ლეიტონი — როვერსი 3:1; ლუტონი — ოქსფორდი 1:1; მენსფილდი — ლინკოლნი 2:1; როჩდეილი — კიდერმინსტერი 2:0; რაშდენი — საუთენდი 0:1; სკანთორპი — ჰარტლპული 1:0; შრუსბერი — ჩელტენემი 2:1; სუონსი — ექსეტერი 4:2; ტორკი — პლიმუთი 0:1

# ხეზე ასვლის საკითხი

## ბრემემ ბრემენელ მუსიკოსებს აჯობა



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — ვერდერი. მასპინძლებს მიროსლავ კლოზემ (მარცხნიდან მეორე) გაამარჯვებინა

### გერმანია

V ტური

**ფრაიბურგი 1:1 ჰანზა**

1:0 ბენკენი (56ს.კ.), 1:1 დი სალვო (81)

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კელი, ა. ცაიერი, ვილი, კობიაშვილი, კულიბალი (ზანდი 81), ვ. ბუტი (ცქიტიშვილი 58), სელიმი, იაშვილი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

ჰანზა: შობერი, ბენკენი, იაკობსონი, ოსვალდი, რ. შრიოდერი (ბრანდი 74), ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი, მაული (მილი 89), არვიდსონი (ბაუმგარტი 74), დი სალვო

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

გაფრთხილება: დიარა, შრიოდერი, რიდლევიჩი

მსაჯი: კრუგი

24 500 მაყურებელი

**კიოლნი 2:1 ჰამბურგი**

0:1 კულმანი (21ს.კ.), 1:1, 2:1 ლოტნერი (67, 90)

კიოლნი: ბადე, რეები, ცივიორი, კულმანი, ვოიგტი (კელერი 42), ბალიტში (კურტი 74), შპრინგერი, შერცი, დონკოვი (ლოტნერი 53), კრიოცი, ბარანეკი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰერჩი, ჰოლერბახი, ტოფტინგი, გროთი, ბენჯამინი, ბარბარეცი (ბეკტერი 75), კეტელაერი (მაინცი 60), მეიერი (ალბერტცი 72)

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

გაფრთხილება: შპრინგერი, მეიერი

მსაჯი: ფანდელი

35 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:2 ბაიერნი**

0:1 სალიჰამიჯიჩი (22), 0:2 სანტა კრუზი (58)

დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, დედე, როიტერი, ოლისე რიკენი, როსიცკი, ამოროზო, იან კოლერი (ბობიჩი 69)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, ნ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, სფორცა (ჰარგრივსი 46), სანტა კრუზი (ტიამი 78), იანკერი (პიზარო 78)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ვიორნსი, ფინკი, კუფური

მსაჯი: ფროილიხი

68 600 მაყურებელი

**ზანკტ პაული 0:2 შალკე**

0:1, 0:2 აგალი (35, 77)

ზანკტ პაული: ბულატი, ამადუ (მანსურიანი 68), სტანისლავსკი, ბარისი, ჰელდი (რაჰნი 46), კონცი, ბაირამოვიჩი, ბიურგერი, მეგლე, პაჩინსკი, რატი (კონეცკე 63)

მწვრთნელი: დიტმარ დემუტი

შალკე: რეკი, ჰაიტო, ვან ჰუგდალემი, ვან კერკჰოვენი, ვერმანტი, უდე კამფუისი, კმეტში (ტონი 38), ბიომე, ვილმოტსი (ბიუსკენსი 87), მიოლერი, აგალი (მულდერი 81)

მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი

გაფრთხილება: ვილმოტსი, მიოლერი

მსაჯი: კესლერი

20 725 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:1 ლევერკუზენი**

0:1 ბუტი (33პ)

მიონხენგლადბახი: შტილი, ვიტეჩეკი, კორელი, პლეტში, მიუნხი, ნილსენი (ასანინი 72), ჰაუსვაილერი, დემო (ულიხი 63), კოზინეცი (მაიკელი 72), ვან ჰუდტი, ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, სებესკენი, ზე რობერტო (ოჯიგვე 70), რამელოვი, ბ. შნაიდერი, ბალაკი (პლასენტე 46), ბასტურკი, კირსტენი (ვუკოვიჩი 65), ნოივილი

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: კორელი, კირსტენი, ვუკოვიჩი, შნაიდერი

30 184 მაყურებელი

**მიუნხენი 1:0 ნიურნბერგი**

1:0 რისეტი (76)

მიუნხენი: იენში, რისეტი, ზელიჩი, ჰფუდერერი, მიუკლანდი (ბიროფკა 31), ტ. ჰოფმანი, ბორიმიროვი, მ. ვაისენბერგერი, ჰესლერი, მაქსი (იპუა 54; ვიზინგერი 67), შროტი

მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი

ნიურნბერგი: კამპა, ნიკლი, კოსი, იოჰანსონი, ვიბლიშაუზერი, ფრაი, სანე (ლაიტლი 74), ლ. მიულერი (კრცინოვეკი 61), იაროლიმი, მიხალკე, გომისი (დრილერი 79)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბორიმიროვი, ვიბლიშაუზერი

მსაჯი: კირხერი

40 200 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:0 ჰერტა**

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკუში, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, ტოდტი, გლეზი (ტიფერტი 62), ბალაკოვი, ადემარი (კურანი 72), განია (კარნელი 53)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, შმიდტი (ალვეში 62), დარდაი, მაასი (სვერისონი 46), ჰარტმანი, დაისლერი, ბოორი, პრეეცი, მარსელინიო (ნოიენდორფი 46)

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: სოლდო, ადემარი, ტიფერტი, ბორდონი, მაასი, შმიდტი, დაისლერი, დარდაი

გაძევება: ვენცელი (52)

მსაჯი: გაგელმანი

22 500 მაყურებელი

**კოტბუსი 3:3 ვოლფსბურგი**

1:0 კალუგინი (2), 1:1 იუსკოვიაკი (28), 1:2 პეტკოვიჩი (39), 2:2, 3:2 და სილვა (45, 47), 3:3 კენედი (77)

კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, და სილვა, მატიუში, რეგეკამპფი, კალუგინი, ვკრაპოვიჩი, კობილანსკი, მირიუტა, ჰელბიგი (ტოპიჩი 49), ლაბაკი (ბრაზილია 67)

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი (კენედი 76), ბილისკოვი, პეტკოვიჩი, კარჰანი, რაუ, აკონორი, დ. მუნტიანუ, პეტროვი, პონტე (ტ. მარიჩი 46), იუსკოვიაკი (გრაინერი 78)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: შებოკი, მირიუტა, კრიგერი, პეტკოვიჩი, პეტროვი

მსაჯი: შიპელი

14 442 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:1 ვერდერი**

0:1 ბანოვიჩი (14), 1:1 რამზი (64), 2:1 კლოზე (70)

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ჰენგენი, ქნაველი, რატინიო, კულიგი, ბასლერი (ბუკი 59), შტრასერი, ლინკოლნი (გრამოცისი 81), ლოკვენცი, პეტერსონი (კლოზე 55)

მწვრთნელი: ანდრეას ბრემე

ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (ა. ჰერცოგი 83), სკრიპნიკი, ფრინგსი, ტიკუზუ, სტალტერი, ბოროვსკი (კლასნიჩი 77), ბანოვიჩი, ბოდე, აილტონი

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ტიკუზუ, ვერლაატი, ფრინგსი, სკრიპნიკი, სტალტერი

მსაჯი: ალბრეხტი

36 763 მაყურებელი

„არ დაგიმალავთ და ჰიცფელდმა კიდევ ერთხელ გამაკვირვა. როცა მატჩამდე გასახდელში შემადგენლობა გამოაცხადა, მის არჩევანში ეჭვი შემეპარა, მაგრამ თურმე „დორტმუნდის“ ავან-ჩავანი ჩინებულად სცოდნია და ტაქტიკაც ისეთი აირჩია, უკეთესს კაცი ვერ მოიფიქრებდა“ — გულწრფელად თქვა თამაშის მერე „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანმა.

შაბათს „ბაიერნმა“ თავისი სიძლიერე კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მანამდე წაუგებულ დორტმუნდის „ბორუსიას“ სტუმრად 2:0 მოუგო და წლეულს პირველი გამარჯვებაც მიითვალა.

ვერ აჯობა შეგირდმა მასწავლებელს. არადა, წლების მანძილზე მათიას ზამერის დამრიგებელი სწორედ ჰიცფელდი გახლდათ. და კიდევ, „დორტმუნდმა“ მისთვის უსიამოვნო ტრადიცია ვერ დაარღვია, ბორუსიელებს ხომ ექვსი წელიწადია ბუნდესლიგის მატჩში შინ ბავარიელები არ დაემარცხებინათ...

მოკლედ ასე. სეზონის ერთ-ერთ მთავარ მატჩში ნაწილობრივ გაირკვა ვინ ვინ არის. ერთი მოგება-წაგებით, შესაძლოა, ბევრი არც არაფერი გამოიხატება, მაგრამ აქ საქმე თამაშის ხარისხს ეხება. სამი მთავარი კაცის, იენს იერემისის, მეჰმეთ შოლისა და შტეფან ეფენბერგის არყოფნის მიუხედავად, სტუმრებმა მასპინძლებს უმთავრესად ხასიათის სამტკიცითა და გონიერი ტაქტიკით აჯობეს.

დორტმუნდელებმა მოედნის ცენტრი თავიდანვე დაიპყრეს, მაგრამ სახიფათო შეტევებამდე საქმე არ მიდიოდა. მასპინძელთა ფორვარდები, ბრაზილიელი ამოროზო და ჩეხი კოლერი სტუმარ მცველებს საიმედოდ დაეტყვევებინათ. თავად კი სწრაფი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და გავიდნენ კიდეც. პირველი ტაიმის შუაში, საჯარიმოს ახლოს კრისტიან ვიორნსის გამოგდებულ ბურთს ჰასან სალიჰამიჯიჩმა ძლიერად დაჰკრა და ანგარიში გახსნა. მეორე კი ასევე ძლიერი და გამოზომილი დარტყმით პარაგვაელმა როკე სანტა კრუზმა შეაგდო. სხვათა შორის, წლეულს ეს „დორტმუნდის“ კარში გატანილი პირველი გოლები იყო...

„ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი გახლავართ — თქვა მერე ოტმარ ჰიცფელდმა — პირველ ტაიმში ამოცანა შევასრულეთ, მეორეში დაცვა კიდევ უფრო გავამაგრეთ. ჩემპიონობის პრეტენდენტ გუნდს მოვუგეთ და ამით ფრიად ბედნიერი ვარ“.

„დორტმუნდის“ წაფორხილებას „კაიზერსლაუტერნის“ ერთპიროვნული გალიდერება მოჰყვა. ანდრეას ბრემეს გუნდმა მართლაც ფანტასტიკური დასაწყისი შემოგვთავაზა — ხუთ მატჩში ხუთი მოგება. ლაუტერნელთა მეხუთე მსხვერპლი ბრემენის „ვერდერი“ გახლდა. არადა, თავიდან სტუმრები იგებდნენ და თამაშის მიხედვითაც ისე ჩანდა, ბევრი აღარაფერი შეიცვლებოდა. საინტერესოა, რომ ბანოვიჩის გოლი ქარიზმატული მარიო ბასლერის შეცდომას მოჰყვა.

ბრძოლისუნარიანობა წლევანდელი „ლაუტერნის“ საუკეთესო თვისებაა და ეს აზრი ამ კვირასაც დადასტურდა. მეორე ტაიმში, ექვსი წუთის ინტერვალში, რამზიმ და კლოზემ ორჯერ გაუტანეს მეკარე როსტს და ბრემეს გუნდმა უახლოეს მდევარ „დორტმუნდს“ სამი ქულით გადაუსწრო.

კერკეტი „კოტბუსის“ მესამე ადგილი ლევერკუზენელებმა დაიკავეს. „კოტბუსმა“ შინ „ვოლფსბურგის“ წინააღმდეგობა ვერ გატეხა, „ბაიერმა“ კი სტუმრად „მიონხენგლადბახს“ მოუგო.

არადა, გლადბახელები ჩინებულად თამაშობდნენ, განუწყვეტლივ უტევდნენ და როგორც სტატისტიკოსებმა დათვალეს, მოწინააღმდეგის კარში 30-ზე მეტჯერ დაარტყეს, მაგრამ დიდებულად თამაშობდა სტუმართა მეკარე ჰანს იორგ ბუტი. შეცდომა ხომ თითქმის არ დაუშვია და გამარჯვების გოლიც რომ გაიტანა... დასაწყისშივე მსაჯმა [illegible] წაქცევისთვის პენალტი დანიშნა, თუმცა მერე ყველამ აღიარა, რომ ეს თერთმეტმეტრიანი გამოგონილი იყო. ასეა თუ ისე, ბუტმა პენალტი ზუსტად დაარტყა. მოგეხსენებათ, ამ მეკარეს ჯერ კიდევ „ჰამბურგში“ თამაშისასაც ხშირად გაჰქონდა თერთმეტმეტრიანები.

ბუტის ერთადერთი ცოდვა ის გახლდათ, რომ ბოლო წუთებზე კორელის დარტყმული ხეირიანად ვერ მოიხელთა, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, ბურთი ძელს მოხვდა.

კვლავ მოუგებლად დატოვა მინდორი „ფრაიბურგმა“. ამჯერად ფინკეს გუნდმა აღმოსავლეთგერმანულ „ჰანზას“ ვერ აჯობა.

სტუმრებმა ორივე გოლი თავად გაიტანეს. ჯერ მცველმა ბენკენმა ფრაიბურგელი კულიბალის დარტყმულს უხეიროდ დაუხვედრა ფეხი და საკუთარ კარში შეაგდო. ბოლოსკენ კი დი სალვომ მაინც გაათანაბრა. ამ გოლამდე ცოტა ხნით ადრე მასპინძელმა ცაიერმა სამი მეტრიდან ხარიხას, მერე კი კობიაშვილმა ძელს გაარტყეს ბურთი. ქართველთაგან სასტარტოში კობიაშვილის გარდა უნგრეთ-ლიტვის გმირი ალექსანდრე იაშვილი გაამწესეს, ლევან ცქიტიშვილმა კი ბოლო ნახევარ საათს ითამაშა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლაუტერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:6 | 8 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 |
| 2 დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 8 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 3 ლევერკუზენი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 5 | 11 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 |
| 4 ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 6 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 4 |
| 5 კოტბუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:8 | 2 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 6 შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 7 გლადბახი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 8 კიოლნი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 9 მიუნხენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 10 შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 0:0 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 11 ფრაიბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 12 ჰერტა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 |
| 13 ჰამბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 14 ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 15 ჰანზა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 |
| 16 ნიურნბერგი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 17 ვოლფსბურგი | 5 | 0 | 3 | 2 | 6:11 | -5 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | -5 | 1 |
| 18 ზანკტ პაული | 5 | 0 | 2 | 3 | 1:6 | -5 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 4 |
| ვან ლენტი (მიონხენგლადბახი) | 4 |
| აგალი (შალკე) | 3 |
| და სილვა (კოტბუსი) | 3 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 3 |

**VI ტური**

16 სექტემბერი

ბაიერნი - ფრაიბურგი
ვოლფსბურგი - შტუტგარტი
ჰერტა - მიუნხენი
ნიურნბერგი - ლაუტერნი
ვერდერი - კიოლნი
ჰამბურგი - გლადბახი
ლევერკუზენი - ზანკტ პაული
შალკე - დორტმუნდი
ჰანზა - კოტბუსი

### მეორე ბუნდესლიგა

V ტური

**ფიურტი 3:1 ვალდჰოფი**

1:0 აზუზი (20), 2:0 სურმანი (40), 2:1 ლიხტი (67), 3:1 ჰესენთალერი (87)

ფიურტი: რაიხოლდი, შიცკე, ბატისტა, მამიჩი, ჰასა (ბოი 52), სურმანი, აზუზი, რაიხელი, ტიური, რუმანი (ჰაგნერი 66), კიოიო (ჰესენთალერი 56)

მიორგი დიკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ჰესელბახი

4 730 მაყურებელი

**მაინცი 2:2 ჰანოვერი**

0:1 შტენდელი (15), 1:1 შულერი (24), 1:2 შტენდელი (37), 2:2 შტეფული (60ს.კ.)

**უნტერჰახინგი 2:3 ალენი**

1:0 ზაიფერტი (2), 1:1 ბელა (8), 1:2 დოლზერი (16), 1:3 ფენგლერი (20), 2:3 შპიზაკი (37)

**უნიონი 5:0 როიტლინგენი**

1:0 ჩიფონი (33), 2:0 რისტიჩი (34), 3:0, 4:0, 5:0 ვიდოლოვი (44, 55პ, 90)

**დუისბურგი 0:0 შვაინფურტი**

**ბოხუმი 3:3 ობერჰაუზენი**

0:1 რიტპიჩი (9), 1:1 ფარენჰორსტი (10), 1:2 ობადი (22), 2:2 კრისტიანსენი (45), 2:3 ტიეკუ (62), 3:3 კრისტიანსენი (81პ)

**არმინია 3:1 ზაარბრიუკენი**

1:0, 2:0 ვიშნიარეკი (25პ, 34პ), 2:1 ხოჯი (53), 3:1 ბრინკმანი (80)

**ალემანია 2:2 ბაბელსბერგი**

0:1 სლეფაკი (15), 0:2 მილოვანოვიჩი (41), 1:2, 2:2 ფ. შმიტი (62პ, 71)

**კარლსრუე — აინტრახტი**

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალენი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:8 | 12 |
| უნიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 16:4 | 10 |
| აინტრახტი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| მაინცი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| ბაბელსბერგი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ფიურტი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| არმინია | 5 | 3 | 0 | 2 | 11:5 | 9 |
| ჰანოვერი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| ბოხუმი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| კარლსრუე | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| შვაინფურტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| ვალდჰოფი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| უნტერჰახინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ალემანია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| ობერჰაუზენი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:12 | 2 |
| დუისბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:13 | 2 |
| როიტლინგენი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:15 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:12 | 0 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-7 ტური: ვატენშაიდი — ოსნაბრიუკი 1:1; ესენი — ფერლი 3:3; ლევერკუზენი (მოყვ.) — მაგდებურგი 2:1; აუე — ლიუბეკი 1:4; ბრაუნშვაიგი — იურდინგენი 1:0; კილი — ქემნიცი 2:1; მიუნსტერი — დრეზდენი 3:1; ვერდერი (მოყვ.) — ფორტუნა 2:0. დიუსელდორფი — პადერბორნი წუხელ გვიან გაიმართა

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-7 ტური: ელვერსბერგი — კიკერსი 1:1; შტუტგარტი (მოყვ.) — ჰოფენჰაიმი 2:0; აალენი — ბაიერნი (მოყვ.) 2:1; ოფენბახი — ზიგენი 2:0; ბურგჰაუზენი — დარმშტადტი 4:1; ფულდა — რეგენსბურგი 0:0; ანსბახი — კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) 0:1; ტრირი — ვეჰენი 3:0; მანჰეიმი — ერფურტი 1:3

## ესპანეთი

### II ტური

**ალავესი 2:0 სოსიედადი**

1:0 მაგნო (31), 2:0 ლორენსი (79)
ალავესი: კოკე, კოლოჩინი, ტელიესი, ჯელი, ლორენსი, პაბლო, ასტუდილიო, მარა (ვიჩგე 80), მაგნო (ვუჩკო 76), კრუიფი, ივან ალონსო (იბონ ბეგონია 59)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ტაიფური, დე პედრო, არანბურუ (ბარკერო 66), იდიაკესი, ხოხლოვი (ლორენტე 70), იანკაუსკასი (დე პაულა 46)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: იდიაკესი, მარა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
14 816 მაყურებელი

**რეალი 1:1 მალაგა**

1:0 რობერტო კარლოსი (14), 1:1 ფერნანდო სანსი (76)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, მაკელელე, ფლავიო კონსეისაო (სოლარი 71), მაკმანამანი, ზიდანი, რაული, გუტი (მუნიტისი 62)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მალაგა: კონტრერასი, ბრავო, ლიტუში, ისნატა, ფერნანდო სანსი, რომერო, ხერარდო, ზარატე (მუსამპა 62), სანდრო (ედგარი 77), დელი ვალდესი (კანაბალი 77), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ბრავო, მაკმანამანი, ზარატე, იერო, რომერო, რობერტო კარლოსი
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ
63 814 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 რაიო ვალეკანო**

0:1 არტეაგა (54), 1:1 ერნანდესი (65ს.კ.)
ბარსელონა: ბონანო, პ. ანდერსონი, სერხი, კრისტენვალი (კოკო 73), ხავი, კოკუ, როჩემბაკი, ლუის ენრიკე (პუიოლი 63), სავიოლა (ალფონსო 80), კლუივერტი, ჯოვანი
მწვრთნელი: კარლეს რექსაჩი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, გრაფი, ალკასარი, ერნანდესი, კორინო, მიჩელი (გლაუჩიო 90), კევედო, რუა, ასკოიტია (ბრუნო როდრიგესი 76), არტეაგა, ბოლო (ლუის სემბრანოსი 66)
გაფრთხილება: გრაფი, კლუივერტი, არტეაგა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
65 000 მაყურებელი

[illegible] დიაპორ[illegible]

შესვენების შემდეგ, ოვა [illegible]უთის სანძილზე გოლი აღარ გასულა, მერვეზე კი სერჟინიომ კუთხური ჩააწოდა, ხოლო შევჩენკომ ახლო ძელთან ლოერი დარტყმით მიაღწია მიზანს. აღანიშნავია, რომ ამ მომენტში ფლორენციელებს უკრაინელი უმეთვალყურეოდ დარჩათ.

მილანელ მცველებს კი მუდმივ უხერხულობას კიეზა უქმნიდა და 59-ე



გაფ[illegible] ბალა, პენია, ალბელდა, პენია, ტორე, ფერნანდო
გაძევება: პენია (52)
მსაჯი: პერეს ლასა
12 200 მაყურებელი

**სელტა 3:0 ტენერიფე**

1:0 კატანია (31პ), 2:0, 3:0 მოსტოვოი (36, 70პ)
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, მოსტოვოი, ბობანი (ჯოვანელა 46), ხესული, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი (კარპინი 64), კატანია (მორისი 65)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, პაბლო პასი, ლუსენმოფი, ბასავილბასო, სლოვაკი, დანი (აკორანი 73), ხორდი (მარიონი 48), მარტი, ბინუ, უგო მორალესი (მანელი 62), ხისკო
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
გაფრთხილება: დანი, ველასკო, ბასავილბასო, ლუსენმოფი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
20 000 მაყურებელი

**სარაგოსა 1:1 სევილია**

1:0 ესკერდინია (61), 1:1 მოიზესი (80)
სარაგოსა: ლაინესი, აგუადო, პაბლო, პაკო ხემესი, ესკერდინია, ველისკა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (ფერონი 71), ხუანელე (გალეტი 71), იორდი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
სევილია: ნოტარიო, დავიდ კასტედო, ხუანმი, პაბლო ალფარო, ნიეგუსი, მოდესტა, გალეარდო (მარიო 83), ტომასი (ფრედი 59), კასკერო, ოლივერა (ანტონიო 73), მოიზესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ოლივერა, პაკო ხემესი, კასკერო, პაბლო ალფარო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
20 000 მაყურებელი

**ბილბაო 0:1 მალიორკა**

0:1 ეტოო (54)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი (ფელიპე 84), კარლოს გარსია, ლაკრუსი, რიოსი (ესკერო 76), ურუტია, ი. გერერო, ალკისა (ტიკო 65), ხავი გონსალესი, ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, ნადალი, იბაგასა, მარკოსი, ენგონგა, ეტოო (კარლოსი 86), ნოვო (კამპანო 67), ლუკე (ვისენტე 78)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გაფრთხილება: ოლაიზოლა, გერერო, ტიკო, ფერნანდო ნინიო, ფელიპე
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
35 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 3:0 ოსასუნა**

1:0 ვიქტორი (6პ), 2:0 ხორხე ლოპესი (52), 3:0 პალერმო (90)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როჩა, უნაი, გალკა, ამორი, ხორხე ლოპესი (გრასია 86), ვიქტორი (კრაიოვეანუ 83), პალერმო, კალეხა (გიარე 74)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ოსასუნა: უნსუე, იანგუასი, ხოსუე, კრუჩაგა, პალასიოსი (საბინო 62), პუნიალი (ისკიერდო 63), რივერო (არმენტანო 62), განსედო, ლეკუმბერი, ივან როსადო, მონტენეგრო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: პუნიალი, გალკა, საბინო, ხავი როჩა, მონტენეგრო, ხორხე ლოპესი, საბინო
გაძევება: საბინო (90)
მსაჯი: პინო სამორანო
16 000 მაყურებელი

# მამიკოს ბიჭის შურისძიება



REUTERS მადრიდიდან

რეალი — მალაგა. სტუმარი რომერო ზინედინ ზიდანს შებმია

**ბეტისი 2:0 ესპანიოლი**

1:0 ხოაკინი (11), 2:0 კასასი (24პ)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (მინგო 66), ბელენგერი, ფილიპესკუ, კალადო, ვარელა, იტო, ხოაკინი, ჟოაო ტომასი (ამატო 55), დენილსონი, კასასი (ჩაპი 57)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ესპანიოლი: მორა, ფრანი, როტჩენი, ლობო, დავიდ გარსია, სოლდევილა (მანელი 58), ოსკარი (მორალესი 66), ველამასანი, დე ლუკასი, ალექს ფერნანდესი, ტამუდო (აგანსო 46)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ლუის ფერნანდესი, ბელენგერი, კალადო, იტო, აგანსო, როტჩენი, მორალესი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
35 000 მაყურებელი

**ორი წლის** წინ მადრიდის „რეალის“ მაშინდელ პრეზიდენტ ლორენსო სანსს ახალმოყვანილმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა შვილის, ფერნანდოს გუნდიდან გაშვება მოსთხოვა. ლორენსო სანსს ეს ამბავი, ვფიქრობთ, არ ესიამოვნებოდა, მაგრამ მწვრთნელის ნებას დაჰყვა. დღეს „რეალში“ აღარც ჯონ ტოშაკია და აღარც სანსი, ფერნანდო კი „სანტიაგო ბერნაბეუს“ „მალაგასთან“ ერთად ესტუმრა და მაშინდელი წყენისა და მამის პრეზიდენტობიდან გადარჩევისთვის შური იძია.

ასე მოხდა: „რეალი“ რობერტო კარლოსის გოლით იგებდა და თამაშიც მალე უნდა დამთავრებულიყო. სტუმრებმა საჯარიმო დაარტყეს, დარიო სილვამ შორეულ ძელს გაარტყა. ძელიდან ასხლეტილი ბურთი იკერ კასილიასის ხელიდან ხარიხას მოხვდა და იქვე ჩასაფრებულმა ფერნანდო სანსმა ფეხი მიარტყა.

სანსის ეს გოლი სხვა რამითაც იყო გამორჩეული — თავის რვაწლიან პროფესიულ კარიერაში, რომლის ნახევარიც „რეალის“ პირველ გუნდში (თუმცა სათადარიგოთა სკამზე) გაატარა, სანსმა პირველად დალაშქრა მეტოქის (თანაც ვისი) კარი. აქვე შევნიშნოთ, რომ „მალაგას“ შემადგენლობაში ექვსი ყოფილი რეალელი თამაშობს.

საინტერესოა, რომ მადრიდელმა ქომაგებმა საფინალო სასტვენის შემდეგ ტაში დაუკრეს სტუმრებს და დაუსტვინეს თავისიანებს. აბა, როგორ იქნებოდა — ჩემპიონატის სტარტზე „რეალს“ ასეთი ცუდი შედეგი ცამეტი წელია, არ ჰქონია.

სამაგიეროდ, ზედიზედ მეორე სეზონია, მეორე ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში ვიგოური „სელტა“ მოქცეულა.

დივიზიონის ახალწვეულ „ტენერიფესთან“ შეხვედრაში გოლები „წითელ კიბორჩხალად“ წოდებულმა გაესპანელებულმა ბრაზილიელმა დიეგო კატანიამ და რუსმა ალექსანდრ მოსტოვოიმ გაიტანეს. მაგრამ შევნიშნოთ, რომ „სელტა“ პაბლო პასის გარეშე ვერაფერს გახდებოდა. ვიგოელთა მონადირებული ორივე პენალტი სწორედ კანარელი პასის სინდისზეა.

არგენტინა — ბრაზილიის მატჩისას დაშავდა რივალდო, რომელსაც „რაიოსთან“ მატჩის გარდა კიდევ ხუთის გამოტოვება მოუწევს. დანარჩენებისა სხვა დროს ვთქვათ, ახლა კი აღვნიშნოთ, რომ ურივალდო „ბარსელონამ“ ვერაფერი გააწყო მოკრძალებულ მადრიდულ კლუბთან.

კატალონიელებს ჰყავდათ კლუივერტი და სავიოლა, მაგრამ სტუმრებს ქულა ფაბიო როჩემბაკმა გამოგლიჯა. მისი დარტყმული ძელს მოხვდა, მისივე დამატებული კი ჟან ფრანსუა ერნანდესის ფეხიდან იმანოლ ეჩებერიას კარის ბადეში აღმოჩნდა. ძალიან უცნაურად თამაშობდა ყოფილი ბილბაოელი მეკარე, ეჩებერიამ რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია, მაგრამ იმავე დროს ორჯერ კინაღამ საკუთარ კარში გაიტანა. სამართლიანად, შედეგით „რაიო ვალეკანო“ კმაყოფილი უნდა იყოს, ბარსელონელებისა კი რა მოგახსენოთ.

„რეალს“ და „ბარსელონას“ არც „ვალენსია“ ჩამორჩა და ვალიადოლიდში ფრედ ითამაშა. თავი გამოიჩინა მადრიდის „ატლეტიკოდან“ გადასულმა სალვა ბალესტამ, რომელმაც გათანაბრება მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მოახერხა. გავიხსენოთ, რომ ეს ის სალვა ბალესტაა, 1999-2000 წლების სეზონში პრიმერადივიზიონის ბომბარდირი რომ გახდა.

ზემოთ რომ ვახსენეთ, „სელტა“ წინა სეზონის მსგავსად მეორე ტურის შემდეგ დივიზიონს ლიდერობსო, დავუმატოთ — შარშან ამ დროს მეორე ადგილზე „დეპორტივო“ იყო და ახლაც ასეა. ლაკორუნიელებმა ფრანის გვიანი და ერთადერთი გოლით ლას პალმასში მოიგეს.

„რეალ სოსიედადს“ კი კვლავაც არ უმართლებს. ისე აეწყო, რომ ბასკებს პირველი ორი თამაში ბასკურსავე გუნდებთან ჰქონდათ და ქულაც ვერ აიღეს. ასეთივე დღეში არიან „ტენერიფე“ და „ოსასუნა“, თუმცა ბურთების უკეთესი შეფარდებით მათ გიორგი დემეტრაძის გუნდი სჯობს. რაც შეეხება ჩვენებურს, თბილისში კარგად გარჯის შემდეგ კლუბში თავის გამოჩენის შესაძლებლობა არ მიეცა, რადგან ჯონ ტოშაკს „ალავესთან“ ის სათადარიგოთა სკამზეც არ ჰყავდა.

„სოსიედადის“ მძლეველი „ალავესი“, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფეხბურთელები ამ ზაფხულს გაასხვისა, ქულათა დაუკარგავად მიდის. „ალავესის“, „სელტასა“ და „დეპორტივოს“ გარდა ორი მოგება კიდევ ერთ გუნდს — „ვილიარეალს“ აქვს, რომელმაც თამაშის დაწყებისთანავე აგრძნობინა „ოსასუნას“, რომ პამპლონაში თუნდაც ერთი ქულის წაღების იმედიც არ უნდა ჰქონოდა.

**გიორგი დარჯანია**

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 | სელტა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 | დეპორტივო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 3 | ვილიარეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 4 | ალავესი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 5 | მალაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 6 | ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 7 | ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 | ლას პალმასი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 9 | ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 10 | ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 11 | ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 12 | მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 13 | სარაგოსა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 | სევილია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 15 | რაიო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 16 | რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 | ვალიადოლიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 18 | სოსიედადი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 | ტენერიფე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 20 | ოსასუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კასასი (ბეტისი) | 3 |
| არტეაგა (რაიო ვალეკანო) | 2 |
| კატანია (სელტა) | 2 |
| დარიო სილვა (მალაგა) | 2 |
| ხორხე ლოპესი (ვილიარეალი) | 2 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 2 |
| მოსტოვოი (სელტა) | 2 |
| ურსაისი (ბილბაო) | 2 |

### III ტური

16 სექტემბერი

ბეტისი - რეალი
მალაგა - ვალიადოლიდი
ვალენსია - ლას პალმასი
დეპორტივო - ბილბაო
მალიორკა - ალავესი
სოსიედადი - სელტა
ტენერიფე - ვილიარეალი
ოსასუნა - ბარსელონა
რაიო ვალეკანო - სარაგოსა
ესპანიოლი - სევილია

## მეორე დივიზიონი

### III ტური

**ელჩე 2:2 ლევანტე**

0:1 ეტიენი (19), 1:1 ნინიო (26), 2:1 რაულ ივარსი (77), 2:2 ხოსემი (89)

**ხიმნასტიკო 0:2 ხაენი**

0:1 რუედა (67), 0:2 სიერა (71)

**ხერესი 2:0 ბადახოსი**

1:0 მენა (70), 2:0 პინედა (80)

**ატლეტიკო 1:1 ფეროლი**

0:1 ისმაელი (41), 1:1 დიეგო ალონსო (78)

**ალბასეტე 0:0 უელვა**

**ნუმანსია 3:1 სპორტინგი**

1:0 პაჩეტა (15), 1:1 პაბლო ალვარესი (50), 2:1 ოხედა (58), 3:1 პაჩეტა (88)

**ესტრემადურა 2:0 რასინგი**

1:0, 2:0 მანუელი (29, 90)

**პოლი ეხიდო 0:0 ეიბარი**

**ოვიედო 2:0 ბურგოსი**

1:0 ოლი (24), 2:0 რუბენი (50)

**კორდობა 4:2 სალამანკა**

1:0 ფაბაო (59), 2:0 ველიტონი (64), 2:1 კრისტიან დიასი (75), 2:2 პეპე დომინგო (77), 3:2 მანოლო (86პ), 4:2 ალფონსო (90)

**მურსია 0:0 ლეგანესი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ხაენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ბურგოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| ოვიედო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ფეროლი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ნუმანსია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ესტრემადურა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ალბასეტე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| სალამანკა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| კორდობა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| უელვა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ლევანტე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ელჩე | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ლეგანესი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 3 |
| ბადახოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| რასინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| მურსია | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| ეიბარი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | 2 |
| ეხიდო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ხიმნასტიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |

## იტალია

### II ტური

**მილანი 5:2 ფიორენტინა**

1:0 შევჩენკო (16), 1:1 კიეზა (18), 2:1 ლაურსენი (40), 3:1 ინძაგი (45), 4:1 შევჩენკო (52), 4:2 კიეზა (58), 5:2 სერჯინიო (78)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი (როკე ჟუნიორი 78), ლაურსენი, კალაძე, მალდინი, კონტრა, ალბერტინი (დონატი 68), გატუზო, სერჯინიო, შევჩენკო, ფ. ინძაგი (ხავი მორენო 81)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ფიორენტინა: ტალიალატელა, დი ლივიო, ადანი, პიერინი, მორეტი, მარკო როსი, ამარალი, კ. ამორუზო (როსიტო 61), ვანოლი (მორფეო 54), კიეზა, ნუნუ გომეში (ტადეი 75)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ინძაგი, პიერინი
მსაჯი: საკანი
55 000 მაყურებელი

**პარმა 2:2 ინტერი**

0:1 მატერაცი (10), 1:1 მილოშევიჩი (27), 1:2 ვენტოლა (29), 2:2 ბონაცოლი (85)
პარმა: ფრეი, ჟეტუ, სენსინი, ფ. კანავარო, სარტორი (მარკიონი 56), ალმეიდა, ლამუში (ბოგოსიანი 80), ჟუნიორი, ნაკატა, მილოშევიჩი (ბონაცოლი 51), დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი (სიმიჩი 53), გეორგატოსი, სერჟიუ კონსეისაუ, დი ბიაჯო, გულიელმინპიეტრო (დალმა 67), ზეედორფი, ვენტოლა (ადრიანო 72), კალონი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ზეედორფი
მსაჯი: დე სანტისი
27 000 მაყურებელი

**ატალანტა 0:2 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (9), 0:2 ტრეზეგე (83)
ატალანტა: ტაიბი, ძაური, კარერა, სალა, ბელინი, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო (პინარდი 63), დონი, საუდატი (როსინი 63), კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
იუვენტუსი: ბუფონი, კ. ძენონი, ტურამი, მონტერო, პესოტო (ფ. ონილი 67), ძამბროტა, ტუდორი, ტაკინარდი, ნედვედი, დელ პიერო (სალასი 70), ტრეზეგე (ნ. ამორუზო 84)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: სალა, კარერა
მსაჯი: ბორიელო
26 000 მაყურებელი

**რომა 1:1 უდინეზე**

1:0 ტომაზი (66), 1:1 მუცი (90)
რომა: პელიცოლი, ძებინა, სამუელი, ძაგო, კაფუ (ასუნსაო 56), ტომაზი (ფუზერი 76), ემერსონი, გიგუ კანდელა, ბატისტუტა, კასანო (ტოტი 56)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, ძამბონი, სოტილი, პიერი, სკარლატო (დ. პიზარო 52), პინცი (თ. მანფრედინი 62), ლ. ელგერა, პინედა, დი მიკელე (იორგენსენი 76), მუცი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: პინცი, სამუელი, ასუნსაო
მსაჯი: რაკალბუტო
53 000 მაყურებელი

**პერუჯა 0:0 ლაციო**

პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო, დელასი, დი ლორეტო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო (ბლაზი 75), გატი (ფუზანი 86), ბაიოკო (კორდოვა 82), მილანეზე, ანი, ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ლაციო: პერუცი, სტამი, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, პანკარო (პობორსკი 53), მენდიეტა (სტანკოვიჩი 75), ჯანიკედა, ფიორე, ფავალი, კოვაჩევიჩი (ბერეტონი 80), ს. ინძაგი
მწვრთნელი: დინო ძოფი
გაფრთხილება: მილანეზე
მსაჯი: პაპარესტა
15 000 მაყურებელი

**ტორინო 1:3 ბრეშა**

0:1 ტარე (9), 1:1 ლუკარელი (30), 1:2 ტარე (68), 1:3 ბაჯო (89პ)
პინგამ ვერ გაიტანა პენალტი (90, აცილა)
ტორინო: ბუჩი, კომოტო (ტირიბოკი 79), გალანტე, დელი კარი, ასტა, პ. კასტელინი, დე აშენტისი, ბრამბილა (ვერგასოლა 65), მასპერო (პინგა 65), კ. ლუკარელი, ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, კალორი, პეტრუცი, დაინა, ე. ფილიპინი (მერო 82), ჯუნტი (ილანა 75), ა. ფილიპინი, კოზმინსკი, რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბონერა, დე აშენტისი, კომოტო, მასპერო
მსაჯი: როდომონტი
25 000 მაყურებელი

# სუფრა გაშლილია, მიირთვით, ბატონებო



პარმა — ინტერი. ჰაერში დასწრებაზე მილანელმა კორდობამ პარმელ დი ვაიოს აჯობა

**კიევო 2:0 ბოლონია**

1:0 კორადი (13), 2:0 კოსატო (85)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ლანა, ერიბერტო (დე ჩეზარე 70), კორინი, პეროტა, კ. მანფრედინი, კორადი (ძანკეტა 90), მარაცინა (კოსატო 56)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ბოლონია: პალიუკა, ბრიოსკი, ფალკონე, მ. კასტელინი, მაჩელარი (ბრიგი 75), ნერვო (პეკია 20), ოლივე, ვომე ლოკატელი (ხულიო კრუზი 35), ბელუჩი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კორინი, დანა, მორო, ლუპატელი, ბელუჩი, სინიორი
გაძევება: ტარანტინო (79, „ბოლონიას" სათადარიგო სკამიდან)
მსაჯი: ტრენტალანჯე
9 852 მაყურებელი

**პიაჩენცა 1:2 ლეჩე**

1:0 გაუტიერი (45), 1:1, 1:2 ჯაკომაცი (67, 86)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკი, ა. ლუკარელი (ამაური 87), ტოსტო, გაუტიერი (ამბროზეტი 65), მატუზალემი, ვოლპი, დი ფრანჩესკო, უბნერი, პოჯი (კაჩა 72)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ლეჩე: კიმენტი, სტოვინი, პოპესკუ, სავინო, ჩირილო (ბალერი 46), კონტიკიო, პიანჯერელი, ჯაკომაცი (მალესკი 90), ტონეტო, ვუგრინეცი, ციმეროტიჩი (კოლონელო 46)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ლუკარელი, პოპესკუ, მატუზალემი
მსაჯი: დონდარინი
8 000 მაყურებელი

**ვენეცია 0:1 ვერონა**

0:1 სალვეტი (68)
ვენეცია: ჯ. როსი, კონტები, ბიორკლუნდი, ვიალი, ბეტარინი, ბრესანი, დ. ანდერსონი, მარასკო, ვანუკი (ვალტოლინა 62), ბაცანი, დი ნაპოლი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ვერონა: ფერონი, გონელა (დი ლიზო 83), ძანკა, ჯ. ფილიპინი, ოდო, მაცოლა, ლ. კოლუჩი, სერიჩი, მონტანო (სალვეტი 60), ჯილარდინო (კამორანეზი 73), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: ფილიპინი, ბეტარინი, ვიალი, კოლუჩი, გონელა, მარასკო, ბაცანი, სერიჩი
მსაჯი: მესინა
9 133 მაყურებელი

**მართალია** რომის იმპერია 475 წელს დაეცა, პატრიციების და პლებეების დავა დღემდე გრძელდება. ერთია მხოლოდ, 2001 წლის 9 სექტემბრის საღამოსთვის ამ დავის სარბიელი შეიცვალა — სერია A-ს ცხრილში მე-11 და მე-12 ადგილებზე გადაინაცვლა. დიახ, რომაული გუნდები ახალდაწყებული ჩემპიონატის მეორე ტურის შემდეგ შუაში არიან. 2000 წლის ჩემპიონი, „ლაციო" მეთორმეტეზეა, 2001 წლის ჩემპიონი, „რომა" კი მეთერთმეტეზე.

და, ახლა ერთი შეკითხვა გვაქვს: როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, „იუვენტუსი" ზედიზედ მეოთხე ჩემპიონატში სკუდეტოს გარეშე დარჩეს?

განვაგრძოთ: ორი ტურის შემდეგ ორი გამარჯვება „იუვენტუსსა" და „კიევოს" აქვთ. „კიევომ" პირველ ტურში ფლორენციაში 2:0 სძლია „ფიორენტინას", მეორეში კი შინ იმავე ანგარიშით დაამარცხა „ბოლონია".

„განსაკუთრებული მომენტია ჩვენს ისტორიაში — ბრძანა პრესკონფერენციაზე ვერონელი გარეუბნელების მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ — პირველ ორ ტურში საშუალო ყალიბის სტაბილურ გუნდებს ვაჯობეთ და დავამტკიცეთ, რომ ადგილის შესანარჩუნებლად ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია ბრძოლა. ფეხბურთელებმა დიდი მონდომებით და ფრიად საინტერესოდ ითამაშეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ გზას არ გადავუხვევთ. ჩემპიონატი საუცხოოდ დავიწყეთ, მაგრამ რეალობა რეალობად რჩება, ამ სეზონში ჩვენი მიზანი სერია A-ში ადგილის შენარჩუნებაა".

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ შემდგომ ტურში „კიევო" ტურინში მიდის.

„ახლა ტურინში ყველა კარგ თამაშს ელის. ჩვენც ამის იმედი გვაქვს. ყველა ღონეს ვიხმართ, რომ „იუვენტუსს" დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთ" — დასძინა დელ ნერიმ.

ხოლო მისმა სახელოვანმა კოლეგამ, „იუვეს" თავკაცმა, მარჩელო ლიპიმ თქვა:

„ის, რასაც „კიევომ" მიაღწია, სასწაული არ არის. ეს დიდი თავდადებისა და სერიოზული მუშაობის შედეგია". თავად „ბებერმა ქალბატონმა" კი ბერგამოში 2:0 აჯობა „ატალანტას". ამაზე ლიპი ამბობს:

„ეს გახლდათ პირველი იმ შვიდი თამაშიდან, უახლოეს ოც დღეში რომ უნდა ჩავატაროთ. ჩვენ დღეს გაშლილ სუფრასთან ვსხედვართ და შეძლებისდაგვარად ბევრი უნდა ვჭამოთ. მომეწონა ფეხბურთელების თავდადება. მათ მეორე ტაიმში პირველზე უკეთ ითამაშეს, რითაც ჩემპიონთა ლიგისთვის ჩემთვის სასურველი რამდენიმე კაცის დასვენების საშუალება მომცეს. კარგ ფორმაში ვართ. საზრუნავი მხოლოდ ერთი გვაქვს: ყველა მოთამაშე საქმეში გვყავდეს ჩართული და გავაცნობიერებინოთ, რომ სეზონი დიდხანს გაგრძელდება, ესე იგი დიდი სიამოვნების მიღებაა შესაძლებელი".

ბერგამოში გამოჩნდა, რომ ტურინელ ფორვარდებს, დელ პიეროსა და ტრეზეგეს მადრიდის „რეალში" გაყიდული ზინედინ ზიდანის არყოფნამ ფრთები მაინცდამაინც ვერ შეკვეცა. გეხსომებათ, პირველ ტურში „ვენეციას" კარი მათ ორ-ორჯერ დალაშქრეს და ახლაც გამოიჩინეს თავი — ერთი დელ პიერომ შეაგდო, მეორე ტრეზეგემ.

„მე და ტრეზეგე ჩინებულ ფორმაში ვართ — განაცხადა დელ პიერომ — რაც შეეხება ახალგადმოსულ მარსელო სალასს, მისი შემადგენლობაში სრულყოფილად ჩართვა მხოლოდ დროის ამბავია. ყველამ ვიცით, რომ ის დიდებული ფეხბურთელია და გუნდს საოცარ ძალას შემატებს".

ტურის ცენტრალურ შეხვედრად კი, ალბათ, „პარმა" — „ინტერი" უნდა მივიჩნიოთ. „ინტერს" თავდასხმაში არც კრისტიან ვიერი ჰყავდა და არც რონალდო, რამაც (აქ რონალდო ლამაზი სიტყვისთვის ვახსენეთ, თორემ ეს ბრაზილიელი ფორვარდი კარგა ხანია ფეხბურთელად აღარ განიხილება), ბუნებრივია, შეტევაში სიმძლავრე დააკლო, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ „შავ-ლურჯებმა" კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. როგორც ჩანს, მილანელთა ახალმა მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა უკვე გადადგა სერიოზული ნაბიჯები „ინტერის" სერიოზულ ძალად ქცევისკენ, თუმცა ჯერ რომ ასეთად არ ჩამოუყალიბებია, ესეც ფაქტია.

ამის დასტური თუნდაც შეხვედრის ანგარიშია. თამაში „ინტერს" უნდა მოეგო, იგებდა კიდეც, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, რაშიც დიდი წვლილი ფრანჩესკო ტოლდოს უხეშმა შეცდომამ შეიტანა.

წინა ეპიზოდში მან საოცარი რეაქციით მოიგერია ბურთი კუთხურზე, ხოლო კუთხურიდან ჩაწოდებულს აცდა, ვერ იხელთა და ემილიანო ბონაცოლის ანგარიში გაათანაბრებინა.

**ბაჩუნა ძიძია**



ფათიჰ თერიმმა „ფიორენტინას" და კრიტიკოსებს აჯობა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 კიევო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 ბრეშა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 6 ვერონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 7 ლეჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 9 უდინეზე | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 პარმა | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 13 პიაჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 14 ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 15 პერუჯა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 16 ატალანტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 ფიორენტინა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 |
| 18 ვენეცია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტარე (ბრეშა) | 4 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 3 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 3 |
| შევჩენკო (მილანი) | 3 |

**III ტური**

16 სექტემბერი

ბოლონია - პარმა
ბრეშა - ლეჩე
ფიორენტინა - ატალანტა
ინტერი - ვენეცია
იუვენტუსი - კიევო
ლაციო - ტორინო
პიაჩენცა - რომა
უდინეზე - მილანი
ვერონა - პერუჯა

## სერია B

4 730 მაყურებელი

**მაინცი 2:2 ჰანოვერი**

0:1 შტენდელი (15), 1:1 შულერი (24), 1:2 შტენდელი (37), 2:2 შტეფული (60ს.კ)

**უნტერჰახინგი 2:3 ალენი**

1:0 ზაიფერტი (2), 1:1 ბელა (8), 1:2 დოლზერი (16), 1:3 ფენგლერი (20), 2:3 შპიზაკი (37)

**უნიონი 5:0 როიტლინგენი**

1:0 ჩიფონი (33), 2:0 რისტიჩი (34), 3:0, 4:0, 5:0 ვიდოლოვი (44, 55პ, 90)

**დუისბურგი 0:0 შვაინფურტი**

**ბოხუმი 3:3 ობერჰაუზენი**

0:1 რიტპიჩი (9), 1:1 ფარენჰორსტი (10), 1:2 ობადი (22), 2:2 კრისტიანსენი (45), 2:3 ტიეკუ (62), 3:3 კრისტიანსენი (81პ)

**არმინია 3:1 ზაარბრიუკენი**

1:0, 2:0 ვიშნიარეკი (25პ, 34პ), 2:1 ხოჯი (53), 3:1 ბრინკმანი (80)

**ალემანია 2:2 ბაბელსბერგი**

0:1 სლეტაკი (15), 0:2 მილოვანოვიჩი (41), 1:2, 2:2 ფ. შმიტდი (62პ, 71)

**კარლსრუე — აინტრახტი**

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა
წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ვიჩენცა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ანკონა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| მოდენა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ჯენოა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ტერნანა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| სალერნიტანა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| კოზენცა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| ბარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| პალერმო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| რეჯინა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ნაპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კროტონე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მესინა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ჩიტადელა | 3 | 0 | 1 | 2 | 6:8 | 1 |
| სამპდორია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პისტოიეზე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| კომო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| სიენა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## სერია C1/a

მე-2 ტური: არეცო — პიზა 3:1; კარარეზე — სპალ 1:0; ლეკო — ალბინოლეფე 2:2; ლივორნო — ვარეზე 1:0; ლუკეზე — ლუმეცანე 1:0; მონცა — ჩეზენა 0:0; პადოვა — რეჯანა 1:2; ტრევიზო — სპეცია 0:0. ტრიესტინა — ალძანო წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/b

მე-2 ტური: ბენევენტო — ვიტერბეზე 2:2; დი სანგრო — ჯულიანოვა 1:0; კიეტი — პესკარა 1:0; ფერმანა — ლოდიჯანი 2:0; აკილა — სორა 0:3; ლანჩანო — ტარანტო 3:1; ნოჩერინა — აველინო 2:0; ტორესი — კატანია 1:1; პეზარო — ასკოლი 1:1

# იტალიის ჩემპიონატი

## მეორე ტურის მატჩი

## მილანი 5:2 ფიორენტინა

კახა კალაძე: 90 წუთი

# პრემიერი გასახდელში ჩავიდა

**ახლა** ამბობენ, რომ „მილანის" ახალმა მწვრთნელმა, თურქმა ფატიჰ თერიმმა ალყაშემორტყმულ კრიტიკოსებს პირში ბურთი ჩაჩარა — „სან სიროზე" „შავ-წითლებმა" „ფიორენტინას" 5:2 მოუგეს. „ფიორენტინა" თერიმის ყოფილი გუნდია.

ფლორენციელთა რბევაში ორგოლიანი წვლილი ანდრეი შევჩენკომ შეიტანა, ხოლო გუნდმა მთლიანობაში ჩინებულად ითამაშა.

მილანელები შევჩენკომ დააწინაურა. საგოლე პასი უკრაინელს „იუვენტუსიდან" გასულ ზაფხულს გადასულმა ფილიპო ინძაგიმ გადააწოდა, რომელმაც თავის მხრივ ბურთი კახა კალაძისგან მიიღო, თუმცა ორი წუთის შემდეგ ენრიკო კიეზამ 25 მეტრიდან ისეთი ჯარიმა დაარტყა, რომ ანგარიში გაათანაბრა.

შემდეგ ისევ მასპინძლების ჯერი დადგა. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე „მილანის" დანიელმა დებიუტანტმა მარტინ ლაურსენმა სერჟინიოს ჩაწოდებულ კუთხურს გაგრძელება ლონიელი დარტყმით მოუძებნა — 2:1, ხოლო მსაჯის წამატებულ წუთებზე, როდესაც „ფიორენტინას" მცველმა, ალესანდრო პიერინიმ საკუთარი კარის სიახლოვეს ბურთს ვერაფერი მოუხერხა, ინძაგიმ მომენტი იხელთა, მეკარე ჯუზეპე ტალიალატელას შემოურბინა და ახალი გუნდის შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

შესვენების შემდეგ, რვა წუთის მანძილზე გოლი აღარ გასულა, მერვეზე კი სერჟინიომ კუთხური ჩააწოდა, ხოლო შევჩენკომ ახლო ძელთან ღონიერი დარტყმით მიაღწია მიზანს. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტში ფლორენციელებს უკრაინელი უმეთვალყურეოდ დარჩათ.

მილანელ მცველებს კი მუდმივ უხერხულობას კიეზა უქმნიდა და 59-ე წუთზე გაუტანა კიდეც მეორე გოლი — ნუნუ გომეშის პასი მიიღო, პაოლო მალდინის გასცდა და ბურთი დაბალ კუთხეში შეაძვრინა.

მაგრამ „მილანს" იმ საღამოს კიდევ ერთი ჰქონდა გასატანი: შევჩენკომ, საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე თავი გაინთავისუფლა, მარცხნივ სერჟინიოს გადააწოდა და ბრაზილიელმა ძლიერი დარტყმით ამ შეხვედრაში გოლების გატანას წერტილი დაუსვა.

მატჩის შემდეგ „მილანის" გასახდელში თავად კლუბის პრეზიდენტი და იტალიის პრემიერ მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ჩავიდა.

„პრეზიდენტი ჩემთან ყოველთვის ახლოს იყო — ბრძანა პრესკონფერენციაზე თერიმმა — მილანში ჩემი ჩამოსვლის დღიდან მხარში მიდგას და ბრეშაში ფრის შემდეგაც მამხნევებდა. რაც შეეხება „ფიორენტინასთან" შეხვედრას, ვგონებ ის კარგი იყო, სანახავად ლამაზი, თუმცა სრულყოფილებამდე ბუნებრივია, ბევრი აკლდა. წინ დიდი სამუშაოა."

შემდეგ თერიმმა კრიტიკაზე ილაპარაკა: „კრიტიკა, თუ ის იდეებს ეხება, მისაღებია, ხოლო, როდესაც კრიტიკოსები პირადად მეხებიან და ჩემს კარიერაზე ჭორაობენ, ვბრაზდები".

ბოლოს კი იმ შეფასებებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა, ტელეკომპანია „რაიუნომ" „შავ-წითელ" ფორმიან ფეხბურთელებს რომ დაუწერა. მათ შორის ყველაზე მეტი ქულა ანდრეი შევჩენკომ დაიმსახურა — 7. ხუთმა მოთამაშემ 6,5 მიიღო, ხოლო დარჩენილმა ხუთმა — 6. საქართველოს ნაკრების წევრი კახა კალაძე სწორედ 6 ქულიანებს შორის მოხვდა აბიატისთან, ჰელვეგთან, კონტრასთან და გატუზოსთან ერთად.

**ბაჩუნა ძიძია**



მარტინ ლაურსენს (№24) გოლი პირველმა კახა კალაძემ მიულოცა

## შოტლანდია

### VI ტური

**ჰართსი 1:0 რეინჯერსი**

1:0 მაკკენა (8)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, როსი, ვიდმარი, ნუმანი, კანჩელსკისი, კონტერმანი, ლატაპი, ბიუზი, რ. დე ბური, ფლო
შოთა არველაძე განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
15 000 მაყურებელი

**დანდი 1:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 მილნი (3), 1:1 ჯექსონი (73პ)
დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი, დელ რიო, მაროკო, გარიდო (სარა 82), რაე, ნემსაძე, რომანო (რობერტსონი 79), კაბალიერო, მილნი
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
7 050 მაყურებელი

**აბერდინი 2:0 კილმარნოკი**

1:0, 2:0 ტრონლი (55, 67)

**სელტიკი 3:1 დანფერმლაინი**

1:0 მორავჩიკი (9), 2:0 სატონი (45), 3:0 მორავჩიკი (70), 3:1 კროუფორდი (85)

**ლივინგსტონი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 ლოუნდესი (57), 2:0 ლოველი (84)

**მოზერუელი 1:3 ჰიბერნიანი**

1:0 კელი (15პ), 1:1, 1:2 სოზე (17პ, 50), 1:3 ფენვიკი (66)

**ჩემპიონ** „სელტიკს" ისტორიული დღე ელის — ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი. ამ თარიღს მარტინ ონილის გუნდი სქოთურ პრემიერლიგაში მორიგი გამარჯვებით და პირველ ადგილზე ყოფნით ხვდება. შაბათს გლაზგოელთა მორიგი მსხვერპლი „დანფერმლაინი" გახდა, რომელმაც სეზონის წარმატებული სტარტი ზედიზედ ოთხი მარცხით განაგრძო. აღსანიშნავია, რომ შაბათს მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში არც ერთი შოტლანდიელი არ იყო. შესაბამისად, გოლებიც უცხოელებმა გაიტანეს: ინგლისელმა კრის სატონმა და სლოვაკმა ვეტერანმა ლუბომირ მორავჩიკმა, ვისაც ჯერ კიდევ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე აქვს ნათამაშევი.

# სქოთთა უსქოთთო ლიდერი



აბერდინი — კილმარნოკი. ბენ ტრონლიმ (შუაში) სტუმრები ორჯერ გაამწარა

მეორე ადგილზე, ბოლო დროისთვის ტრადიციულად, მეორე გლაზგოური კლუბია. „რეინჯერსი" ისედაც ვერ არის ხასიათზე ტრავმების მოზღვავებისა და შორეულ (მათთვის) დაღესტანში მოგზაურობის პერსპექტივით, უქმეებზე კი ამას მორიგი ორი ქულის დაკარგვა დაერთო. კანადელმა მაკკენამ „ჰართსი" დებიუტშივე დააწინაურა და თუმცა მერე ტრინიდადელმა ლატაპიმ და ნორვეგიელმა ფლომ (მე-19 გოლი 30-ე მატჩში) ამას ორით უპასუხეს, საფინალო სასტვენამდე რვა წუთით ადრე ჭაბუკმა სტივ საიმონსმა მასპინძლებს მესამე ადგილი შეუნარჩუნა. გლაზგოელთა ახალწვეული შოთა არველაძე შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, ვინაიდან უნგრეთთან მიღებული ტრავმის სრულ მოშუშებამდე დიკ ადვოკაატმა ქართველის მოედანზე გაყვანა არ გარისკა.

სამაგიეროდ, ზურაბ ხიზანიშვილმა და გიორგი ნემსაძემ ითამაშეს „დანდის" ძირითადში, თუმცა ვერც მათ და ვერც სხვებმა ვერ შეძლეს მაჩანჩალა „სენტ ჯონსტონის" დაჩოქება. არადა, მასპინძლებს რომ მოეგოთ, ამჟამინდელი მეშვიდეს ნაცვლად მესამე ადგილზე იქნებოდნენ. „ვაღიარებ, რომ სამეულში მოსახვედრად ჯერ მზად არ ვართ" — თქვა დანდელმა იტალიელმა თავკაცმა ივანო ბონეტიმ.

**გიგა კობახიძე**

| 20 | ჟორჟე კოუტუ | 31 |
| 22 | პაულუ რიბეირუ | 21 |

მწვრთნელი: ჟაიმე პაჩეკო

# ჩემპიონთა ლიგა | I ტური. დღეს

## C ჯგუფი

### შალკე — პანათინაიკოსი

### მალიორკა — არსენალი

**„არსენალი“** სახელოვანი გუნდია, „მალიორკა“ — ნაკლებად. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა, ლონდონელები რომ ემუქრებოდნენ მეტოქეს, მაგრამ პირიქითაა. იკითხავთ, რატომო. რატომ და გასულ უქმეებზე „მალიორკამ“ მოახერხა ის, რასაც მთელი ორმოცი წელი ელოდა, კერძოდ, ბილბაოში, „სან მამესზე“ დაამარცხა „ატლეტიკო“. იუწყებიან, რომ ჩინებულად უთამაშია სამეულ ეტოოს, ხოლო მეკარე ლეო ფრანკო შეუდარებელი ყოფილა. მოკლედ, ბალეარელები ჩინებულ ხასიათზე არიან. ფრანკო ამბობს: „არსენალი“ დიდი გუნდია, მაგრამ ეს სულაც არ გვაშინებს. თუ ინგლისელებმა ჩვენი „ატლეტიკთან“ მატჩი ნახეს, ვფიქრობ, მათ უნდა ჰქონდეთ ჩვენი რიდი“.

კეთილი, ეტოო და ფრანკო, კიდევ თვინ? ბერნდ კრაუსის განკარგულებაშია ოცდაერთი წლის თავდამსხმელი ალბერტ ლუკე, რომელიც ეტოოსთან ერთად პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო წყვილს ქმნის.

ჯგუფის მეორე მატჩში „შალკე“ „პანათინაიკოსს“ მასპინძლობს. გერმანელთა უმთავრესი დანაკლისია ებე სანდი, სამაგიეროდ, ტრავმა მოუშუშებია, ემილ მპენზას. ბელგიელი ბუნდესლიგის წინა ტურშიც მზად ყოფილა სათამაშოდ, მაგრამ ჰუუბ სტევენსს რისკი არ გაუწევია და ის ლიგისთვის შემოინახა.

მოგეხსენებათ, „შალკეს“ ჩემპიონთა თასის მფლობელი ფეხბურთელიც ჰყავს — ენდი მიოლერი, რომელსაც ეს ჯილდო 1997 წელს „ბორუსიასთან“ ერთად მოუგია. მიოლერის თქმით, „შალკე“ ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს, მაგრამ ბევრს კი გააწვარებს. უნდა ვიფიქროთ, რომ გასამწარებელთა სიაში მიოლერს „პანათინაიკოსიც“ ეგულება.

## D ჯგუფი

### ნანტი — პსვ ეინდჰოვენი

### გალათასარაი — ლაციო

**დღეს** სტამბოლში უკვე სახელდაგდებული „გალათასარაი“ მენდიეტათი გაძლიერებულ „ლაციოს“ შეერკინება. წითელ-ყვითელი დროშების ფრიალში თამაში რომ ძალიან ძნელია, ეს საკუთრ თავზე მადრიდის „რეალმაც“ გამოსცადა. ალბათ, გახსოვთ, გაზაფხულზე თურქებმა მადრიდელებს 0:2-ზე თამაში რომ შემოუბრუნეს და 3:2 დაამარცხეს. „გალა“, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მეგოლე მარიო ჟარდელმა მიატოვა, საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. რაც შეეხება „ლაციოს“, არცთუ კარგი სტარტი გამოუვიდა ამ სეზონში, ეტყობა, რომ გუნდს შეთამაშება აკლია. თანაც ნუ დაგვავიწყდება მენდიეტა-ლოპესის ჯერ კიდევ ვალენსიური წყვილი. თუ მათ თამაშიააწყვეს, ბევრ მეტოქეს გაამწარებენ. შეიძლება ითქვას, ეს მატჩი ჯგუფის ფავორიტთა დუელია.

ახლა საცოდავ ფრანგებსაც გადავავლოთ თვალი. დიახ, მართლაც რომ „შესაშური“ შედეგები აქვს „ნანტს“. ჩემპიონატის ექვს შეხვედრაში სამი გატანილი გოლი და არცერთი მოგება, არადა, ისინი ხომ საფრანგეთის ჩემპიონები არიან. თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, მასპინძელთა მხრიდან მაღალხარისხიან თამაშს არ უნდა ველოდოთ, თანაც გუნდი ერთ-ერთმა საუკეთესომ ერიკ კარერიმ დატოვა. იგი „ლიონში“ გადავიდა. „ეინდჰოვენი“ ამჯერად, ისევე როგორც ყოველთვის, ჰოლანდიაში ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ჩემპიონატის დასაწყისშიც სტაბილურად ირჯება და თუ ნანტელთა ეს ჩავარდნა გამოიყენა, ეგებ სამ ქულასაც გამოჰკრას ხელი. კარგი დასაწყისი კი ნახევარი საქმეაო.



ბებერი გარი მაკალისტერის იმედი ჟერარ ულიეს კვლავაც აქვს

## C ჯგუფი

### არსენალი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | დევიდ სიმენი | 38 |
| 13 | სტიუარტ ტეილორი | 21 |
| 24 | რიჩარდ რაიტი | 24 |
| 43 | გრემ სტაკი | 20 |
| | **მცველები** | |
| 2 | ლი დიქსონი | 37 |
| 3 | ეშლი კოული | 21 |
| 5 | მარტინ კიოუნი | 35 |
| 6 | ტონი ადამსი | 35 |
| 18 | ჟილ გრიმანდი | 31 |
| 20 | მეთიუ აპსონი | 22 |
| 22 | ოლეგ ლუჟნი | 33 |
| 23 | სოლ კემპბელი | 27 |
| 26 | იგორის სტეპანოვსი | 25 |
| 32 | ჯონ ჰოლსი | 19 |
| 34 | ლაიამ ჩილვერსი | 20 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | პატრიკ ვიეირა | 25 |
| 7 | რობერ პირესი | 28 |
| 8 | ფრედერიკ ლინგბერგი | 24 |
| 12 | ლორენ ეტამაიერი | 24 |
| 15 | რეი პარლოუ | 28 |
| 16 | ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | 26 |
| 19 | იუნიჩი ინამოტო | 22 |
| 41 | სტივენ სანტრი | 19 |
| 42 | სტივენ სიდველი | 19 |
| 48 | დევიდ ბენტლი | 17 |
| 55 | მაიკლ სმიტი | 18 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ფრენსის ჯეფერსი | 20 |
| 10 | დენის ბერხკამპი | 32 |
| 11 | სილვენ ვილტორდი | 27 |
| 14 | ტიერი ანრი | 24 |
| 21 | ჯერმან პენანტი | 18 |
| 25 | ნვანკვო კანუ | 25 |
| 31 | ჟერემი ალიადიე | 18 |
| 33 | ჟერმან ბრაუნი | 18 |
| 36 | გრემ ბარეტი | 20 |
| 37 | კარლინ იტონგა | 19 |
| 45 | ჟერომ ტომასი | 18 |

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

### მალიორკა (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | კარლოს როა | 32 |
| 13 | მიკი გარო | 26 |
| 25 | ლეო ფრანკო | 24 |
| 27 | ალბერტო ჩიფუენტესი | 22 |
| | **მცველები** | |
| 3 | მიგელ სოლერი | 36 |
| 4 | ფათიჰ აკიელი | 24 |
| 5 | ფერნანდო ნინიო | 27 |
| 11 | კრისტიან დიასი | 25 |
| 14 | ხავიერ ოლაიზოლა | 32 |
| 20 | მიგელ ანხელ ნადალი | 35 |
| 21 | ვისენტე ფერნანდესი | 26 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 2 | ალეხანდრო კამპანო | 23 |
| 10 | არიელ იბაგასა | 25 |
| 15 | ფრანსისკო ჩიჩი სოლერი | 31 |
| 16 | ალვარო ნოვო | 23 |
| 18 | მარკოს მარტინი | 34 |
| 23 | ვისენტე ენგონგა | 36 |
| 26 | ალბერტ რიერა | 19 |
| 28 | მანუელ ვიალე | 20 |
| 29 | რობერტო რამირესი | 19 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 6 | ველიკო პაუნოვიჩი | 24 |
| 7 | კარლოს დომინგუში | 25 |
| 8 | ლეონარდო ბიაჯინი | 24 |
| 9 | სამუელ ეტოო | 20 |
| 12 | დანიელ გუისა | 21 |
| 19 | ალბერტო ლუკე | 23 |
| 22 | ხულიენ რობლეს გარსია | 20 |

მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი

### შალკე (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ოლივერ რეკი | 36 |
| 13 | ფროდე გროდასი | 37 |
| 29 | ტონი ტაპალოვიჩი | 21 |
| 33 | კრისტოფერ ჰაინეროტი | 20 |
| | **მცველები** | |
| 3 | ანიბალ მატელანი | 24 |
| 6 | ტომაშ ჰაიტო | 29 |
| 10 | ოლაფ ტონი | 35 |
| 12 | ნიკო ვან ჰუგდალემი | 29 |
| 15 | ტომაშ ვალდოხი | 31 |
| 23 | მარკუს ჰაპე | 29 |
| 25 | მარსელ როჟგონი | 25 |
| 27 | ბენჟამინ ვინგერტერი | 18 |
| 28 | სლადან პერიჩი | 19 |
| 32 | ბენჟამინ კოხი | 20 |
| 35 | ფილიპ ტროიანი | 18 |
| 36 | კრისტიან სოლარი | 21 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 2 | ნიკო ვან კერკჰოვენი | 31 |
| 5 | სვენ კმეტჩი | 31 |
| 7 | ანდრეას მიოლერი | 34 |
| 8 | იორგ ბიომე | 27 |
| 16 | კრისტიან ჯორჯევიჩი | 25 |
| 17 | სვენ ვერმანტი | 28 |
| 18 | ნილს უდე კამპუისი | 24 |
| 19 | მიხაელ ბიუსკენსი | 33 |
| 20 | ირჟი ნემეცი | 35 |
| 24 | მარკ ვილმოტსი | 32 |
| 30 | ტამაშ ჰაინალი | 20 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | იური მულდერი | 32 |
| 11 | ებე სანდი | 29 |
| 14 | ჯერალდ ასამუა | 23 |
| 21 | ემილ მპენზა | 23 |
| 22 | ვიქტორ აგალი | 23 |
| 31 | სერჟიუ პინტუ | 21 |

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

### პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ანტონის ნიკოპოლიდისი | 30 |
| 17 | პანაიოტის ბარცოკასი | 26 |
| 25 | სტეფანოს კოცოლისი | 22 |
| | **მცველები** | |
| 2 | რენე ჰენრიკსენი | 32 |
| 3 | ფილიპოს დარლასი | 18 |
| 4 | გეორგიოს სეიტარიდისი | 20 |
| 8 | იოანის გუმასი | 26 |
| 14 | ლეონიდას ვოკოლოსი | 31 |
| 15 | დანიელ სარიჩი | 29 |
| 16 | სოტირიოს კირიაკოსი | 22 |
| 30 | პანაიოტის ფისასი | 28 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | ფერნანდო გალეტო | 30 |
| 6 | პაულუ სოუზა | 31 |
| 10 | დერეკ ბოატენგი | 18 |
| 12 | იან მიკაელსენი | 31 |
| 20 | ანგელოს ბასინასი | 25 |
| 22 | მილტიადის საპანისი | 25 |
| 26 | გიორგიოს კარაგუნისი | 24 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | გორან ვლაოვიჩი | 29 |
| 9 | კშიშტოფ ვარჟიხა | 37 |
| 11 | იონას კოლკა | 27 |
| 19 | მიხაელ კონსტანტინუ | 23 |
| 21 | ნიკოს ლიბეროპულოსი | 26 |
| 23 | ემანუელ ოლისადებე | 23 |

მწვრთნელი: იოანის კირასტასი

## D ჯგუფი

### ლაციო (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ლუკა მარკეჯანი | 35 |
| 12 | დიეგო ფავაცა | 19 |
| 22 | ემანუელე კონჩეტი | 23 |
| 70 | ანჯელო პერუცი | 31 |
| | **მცველები** | |
| 2 | ფრანჩესკო კოლონეზე | 30 |
| 3 | სესარი | 27 |
| 11 | სინიშა მიხაილოვიჩი | 32 |
| 13 | ალესანდრო ნესტა | 25 |
| 15 | ჯუზეპე პანკარო | 30 |
| 18 | პაოლო ნეგრო | 29 |
| 19 | ჯუზეპე ფავალი | 29 |
| 24 | ფერნანდუ კოუტუ | 31 |
| 31 | იაპ სტამი | 29 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | დინო ბაჯო | 30 |
| 5 | დეიან სტანკოვიჩი | 23 |
| 6 | გაისკა მენდიეტა | 27 |
| 8 | კარელ პობორსკი | 29 |
| 14 | დიეგო სიმეონე | 31 |
| 16 | ჯულიანო ჯანიკედა | 27 |
| 20 | სტეფანო ფიორე | 26 |
| 23 | ივან დე ლა პენია | 25 |
| 26 | ლუკას მარტინ კასტრომანი | 21 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | კლაუდიო ლოპესი | 27 |
| 9 | დარკო კოვაჩევიჩი | 27 |
| 10 | ერნან კრესპო | 26 |
| 21 | სიმონე ინძაგი | 25 |
| 29 | ემანუელე ბერეტონი | 20 |

მწვრთნელი: დინო ძოფი

### გალათასარაი (თურქეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ფარიდ მონდრაგონი | 30 |
| 16 | ქერემ ინანი | 21 |
| 61 | მეჰმეთ ბოლუქბაში | 23 |
| | **მცველები** | |
| 2 | ვედათ ინქეფე | 27 |
| 3 | ბიულენთ ქორქმაზი | 33 |
| 5 | ემრე ასიქი | 28 |
| 14 | გუსტავო ვიქტორია | 23 |
| 15 | სებასტიან პერესი | 28 |
| 17 | ერენ ემრაჰი | 23 |
| 23 | ანდრეს ფლურკინი | 24 |
| 35 | კაპონე | 29 |
| 57 | ჰაქან უნსალი | 28 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | სუათ კაია | 34 |
| 12 | ბიულენთ აკინი | 23 |
| 13 | სერგენ იალჩინი | 29 |
| 18 | აიჰან აქმანი | 24 |
| 21 | ფარუკ ათალაი | 20 |
| 22 | დავალა უმითი | 25 |
| 24 | პაველ ჰორვატი | 26 |
| 30 | საბრი სარიოღლუ | 17 |
| 33 | სელეთ დებრელი | 18 |
| 67 | ერგუნ პენბე | 29 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 6 | არიფ ერდემი | 29 |
| 7 | ბერქანტ გიოქთანი | 21 |
| 9 | უმით კარანი | 25 |
| 11 | ჰასან შაში | 25 |
| 19 | მბო მპენზა | 25 |
| 20 | რობერტ შპეხარი | 31 |
| 55 | სერქან აიკუტი | 26 |

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

### პსვ (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ივიცა კრალი | 28 |
| 20 | პატრიკ ლოდევაიქსი | 34 |
| 23 | რონალდ ვატერეუსი | 31 |
| 42 | ნიკ ვერმირენი | 19 |
| 50 | ჯინო კუტინიო | 19 |
| | **მცველები** | |
| 2 | ანდრე ოიერი | 27 |
| 4 | ერნსტ ფაბერი | 30 |
| 13 | რობ ველაერტი | 23 |
| 21 | იური ნიკიფოროვი | 31 |
| 27 | იურგენ კოლინი | 20 |
| 30 | კასპერ ბოგელუნდი | 21 |
| 33 | ლეონ ჰესე | 20 |
| 38 | ჯეი გიბსი | 20 |
| 39 | ნიკო ლეისტენი | 19 |
| 40 | სუათ უშტა | 20 |
| 43 | ტომ დე ვოსი | 19 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | იან ჰაინცე | 38 |
| 6 | მარკ ვან ბომელი | 24 |
| 7 | ადილ რამზი | 24 |
| 14 | იოჰან ფოგელი | 24 |
| 15 | ჯონ დე იონგი | 24 |
| 16 | ტეო ლუსიუსი | 25 |
| 17 | გიორგი გახოკიძე | 26 |
| 18 | ერიკ ადო | 23 |
| 19 | დენის რომედალი | 23 |
| 22 | ვილფრედ ბუმა | 23 |
| 24 | მარკინიო | 19 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | მატეია კეჟმანი | 22 |
| 10 | არნოლდ ბრუგინკი | 24 |
| 32 | ედსონ სილვა | 18 |
| 46 | მორტენ ლარსენი | 19 |
| 50 | იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | 22 |

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

### ნანტი (საფრანგეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | მიკაელ ლანდრო | 21 |
| 16 | ვილი გრონდინი | 27 |
| 30 | სებასტიან პაუვერი | 24 |
| | **მცველები** | |
| 2 | ნესტორ ფაბრი | 33 |
| 3 | ნიკოლა ლასპალი | 30 |
| 5 | ნიკოლა ჟილე | 25 |
| 12 | პასკალ დელომო | 23 |
| 22 | სილვენ არმანი | 21 |
| 24 | ივ დეროფი | 23 |
| 25 | ჟან ბილაი ატება | 23 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | სალომონ ოლემბე | 21 |
| 13 | მეთიუ ბერსონი | 21 |
| 15 | ნიკოლა სავინო | 26 |
| 20 | ერიკ ჯემბა | 20 |
| 26 | გორან რუბილი | 20 |
| 27 | ლუკ პაილერი | 21 |
| 29 | სტეფან ზიანი | 30 |
| 31 | ჩარლზ დევინო | 21 |
| 32 | სამუელ ფენილატი | 23 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ალიუნ ტურე | 23 |
| 8 | ფრედერიკ და როშა | 27 |
| 9 | ვიორელ მოლდოვანი | 29 |
| 11 | პიერ-ივ ანდრე | 27 |
| 14 | პიერ არისტუ | 21 |
| 17 | ჰასან აჰამადა | 20 |
| 18 | ვილფრედ დალმა | 19 |
| 19 | მარამა ვაირუა | 21 |
| 21 | ოლივიე კუინტი | 30 |
| 28 | გრეგორი პუიოლი | 21 |

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

## ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

# თურქოღლუ: მართლა თურქების შვილი


REUTERS სტამბოლიდან

ჰიდაიეთ თურქოღლუმ თურქეთი ხუთ წუთში ორჯერ იხსნა

### თურქეთი 79:78 გერმანია
(ძირითადი დრო 70:70)

**თურქეთი: ერდენაი (11), ქუთლუაი (24), ფარსი, ილდირიმი (3), თურქჯანი (10), ბეშოქი (8), თუნჩერი, თურქოღლუ (23), ონანი, პეკერი**
**გერმანია: არიგბაბუ, ტომიჩი, პეშიჩი (17), ოკულაია (18), დემირელი, ნოვიცკი (22), ფემერლინგი (10), პაპიჩი, გარეტი, გარისი (5), ბრედლი (6)**

მძღოლებისთვის, ისევე როგორც მგზავრებისთვის, ეგრეთ წოდებული „საცობი" ნამდვილი ტანჯვა-წამებაა. სტამბოლისთვის, ამ მრავალმილიონიანი ქალაქისთვის, ეს მოვლენა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ქუჩის ვაჭართათვის კი იგი პირდაპირ მისწრებაა. ასეულობით პოტენციური მყიდველი ხაფანგში გამომწყვდეულივით განაბულა, ვაჭრებიც ზუსტად ამას ელიან, მარტო მიდი და შესთავაზე.

შაბათ საღამოს სტამბოლში ყველაფერზე უკეთ თურქეთის ეროვნული დროშები იყიდებოდა. ათასობით გულშემატკივარი გერმანელებთან ნახევარფინალური შეხვედრისთვის ემზადებოდა, რასაც ვარსკვლავმთვარიანი დროშის ყიდვით იწყება. თურქებს თავისიანების ქომაგობა რომ ეხერხებათ, ბევრჯერ დაუმტკიცებიათ. ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში, რომელიც საგანგებოდ ევრობასკეტ-2001-სთვის გადაიღეს, ნაკრები გუნდის კალათბურთელთა გვერდით გმირებად რიგითი ადამიანებიც არიან გამოყვანილნი. ასე მაგალითად, მოხუცი ქალი ურთულესი მდგომარეობიდან უზუსტეს პასს აკეთებს, რკინიგზის სადგურზე მემანქანე ბურთს საჩვენებელი თითის წვერზე აბზრიალებს, ხოლო კოსტიუმში გამოწყობილი ქორფა გოგონა თავად ჰიდაიეთ თურქოღლუზე მაღლა ხტება და მის ნასროლ ბურთს ხელს აფარებს.

მასპინძლებმა ამ შეხვედრის წინ მეტად დიდი დანაკლისი განიცადეს, რადგან მათ ტრავმის გამო ფორვარდი მეჰმეთ ოქური გამოაკლდათ. იგი გერმანელთა ლიდერ დირკ ნოვიცკის ამპლუის მოთამაშეა და ამდენად მისი არყოფნა ნოვიცკის საქმეს უფრო გაუიოლებდა. მწვრთნელმა აიდინ ორსმა ამ გიგანტის მეურვეობა მირსად თურქჯანს დაავალა.

თურქჯანმა შეხვედრა მაჟორულ ნოტაზე დაიწყო. საწყისი ორ წუთის განმავლობაში მან ორჯერ დაჯაბნა უშუალო მეტოქე და გუნდს ოთხი ქულა შესძინა, ქერემ თუნჩერიმ კი მისი პასის შემდეგ სამქულიანიც ჩააგდო. გერმანელთა ქერა ლიდერს სროლები არ წაუვიდა, ჰოდა, რადგან სტუმართა ნაკრები ფაქტობრივად მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული, ანგარიშში სხვაობა მასპინძელთა სასარგებლოდ იზრდებოდა. მერვე წუთზე თურქჯანმა ნოვიცკის ხელსზემოდან სამიანი ზუსტად ისროლა, 19:11 და გერმანელთა მწვრთნელმა ჰენრიკ დიტმანმა ლიდერი სკამზე დასვა. თუმცა გერმანელებმა პირველი მეოთხედის ბოლოსათვის საპასუხო შტურმის მოწყობა მაინც შეძლეს და ათწუთეული მხოლოდ ერთი ქულით, 19:20 დათმეს.

განახლდა თამაში და სულ ცოტა ხანში დიტმანის შეგირდები ფარქვეშ გაბატონდნენ. ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში 17-ჯერ ადემოლა ოკულაიამ იმარჯვა, 10-ჯერ კი ნოვიცკიმ. ამასობაში ჰიდაიეთ თურქოღლუ (თურქეთის ნაკრების ერთ-ერთ მოწინავე და შემდგომში მატჩის გმირი) პერსონალური ჯარიმებით დაიტვირთა, თანაც ამ დროისთვის სტუმართა ლიდერის აფეთქებას ელოდნენ. ნოვიცკიმ ხომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მას მატჩის მსვლელობისას თამაშის გაუმჯობესება ძალუძს. ამჯერად გერმანელს ეს არ გამოუვიდა და საშუალო დისტანციიდან ერთხელაც ვერ ჩააგდო, სამქულიანი მხოლოდ ორად ორი, — ხოლო საჯარიმო ხაზზე საერთოდ საშინლად გამოიყურებოდა: 13-დან 6-ჯერ მოახერხა ზუსტად სროლა.

ასეთი მონაცემების მიუხნდავად, მარკო პეშიჩმა და პატრიკ ფემერლინგმა თავისიანების დაწინაურება მაინც შეძლეს. მესამე მეოთხედის დასაწყისში ისინი მასპინძლებს ექვს ქულას უგებდნენ. თავის მხრივ თურქები, რაღა თქმა უნდა, დანებებას სულაც არ აპირებდნენ და ბოლო ათწუთეულის მსვლელობისას მატჩში გარდატეხა შეიტანეს. ერთ მომენტში ნოვიცკიმ ორი საჯარიმო გააცუდა, მერე დაჯარიმდა და საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, როცა მსაჯის გადაწყვეტილებას დიდი სისულელე უწოდა. ეს მისი მეოთხე ჯარიმა იყო, ხოლო ჰიდაიეთ თურქოღლუმ ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთი და 36 წამით ადრე გერმანელთა მდგომარეობა თითქოს უიმედო გახადა — 67:60 მასპინძელთა სასარგებლოდ. აქ არიულმა ბრძოლისუნარიანობამ თავი იჩინა და დამთავრებას 21 წამი აკლდა, როცა ჰენრიკ დიტმანის დამოძღვრილებმა დაწინაურება ისევ შეძლეს, თანაც ერთი ქულით. ბურთს გერმანელები ფლობდნენ, პეშიჩმა და ნოვიცკიმ თითო საჯარიმო გამოიყენეს და სხვაობამ 3 ქულას უწია, 70:67 თურქებს შეტევისთვის 8 წამი რჩებოდათ. ჰიდაიეთ თურქოღლუ ბურთიანად დაიძრა, რატომღაც სტუმრებმა მას თავისუფლად ნავარდის საშუალება მისცეს და...

ბადე აფართხალდა, გერმანელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა თავზე ხელები იტაცა, ტრიბუნაზე წარმოუდგენელი ამბები ხდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იყო სამი წამი. პეშიჩმა მოედნის ცენტრიდან ისროლა, თუმც არაზუსტად და დამატებით დრო.

ეს ხუთი წუთი ჰიდოს, ჰიდაიეთ თურქოღლუს ბენეფისად იქცა. თურქები სამ ქულას აგებდნენ, როცა თამაშის დასრულებამდე წუთი და 24 წამი რჩებოდა. ჰიდომ ნერვების სიმტკიცე გამოავლინა და ზუსტი სამქულიანით გაათანაბრა, ერთი წუთის შემდეგ კი არბიტრის პროვოცირება მოახერხა, რომელმაც ნოვიცკი მეხუთედ დააჯარიმა. სამი წამი დამატებითის დასრულებამდე, გერმანელები კი ერთი ქულით წინ არიან. ყველაფერი თითქმის უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ჰიდო ასე არ ფიქრობდა. ბურთმოღერებული შეიჭრა სამწამიან ზონაში, წაიბორძიკა და, პატრიკ ფემერლინგის წინააღმდეგობის მიუხედავად, გამარჯვებისა ჩააგდო — 79:78.

გადაირია თურქოღლუ, თურქეთი და დარბაზი. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, რადგან სიგიჟის სიმპტომები მათ სახეებზე აღბეჭდილიყო. იყო სიმღერა 12 ღევკაცზე, წითელ-ყვითელ ჰალსტუხიანი ჩინოვნიკების ულვაშთა ცმაცუნი და, რა თქმა უნდა, განსხვავებულებით ჩაის სმა.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS სტამბოლიდან

თურქთა სიხარული ასე დაიწყო

### იუგოსლავია 78:65 ესპანეთი

**იუგოსლავია: ბოდიროგა (15), ობრადოვიჩი (5), ტარლაჩი (4), დრობნიაკი (13), გუროვიჩი (4), სტოიაკოვიჩი (30), იარიჩი (4), შჩეპანოვიჩი (3), ტომაშევიჩი**
**ესპანეთი: ა. რეიესი (6), პარაისო (8), ანგულო (12), როდრიგესი (2), ხიმენესი (2), გარბახოსა, ლოპესი (8), ნავარო (5), გასოლი (22), კორნგაი**

„დღეს ესპანეთმა დაგვანახა, რომ ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა და კონცენტრაცია ბოლომდე არ უნდა დავკარგოთ. კიდევ კარგი, გამარჯვება მაინც მოვახერხეთ. ახლა თურქეთს სულ სხვანაირად, გაცილებით მეტი სერიოზულობით მოვეკიდებით და, იმედია, დღევანდელივით არ გავხდით ჩვენს წარმატებას საეჭვოდ" — თქვა იუგოსლავიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა ნახევარფინალში ესპანელთა ძლევის შემდეგ.

მეოთხედფინალში რუსთა წინააღმდეგ მეტად საშუალოდ ითამაშა პაუ გასოლმა. ამის გამოსწორება მან ეტყობა სწორედ იუგებთან სცადა. „მემფისის" ახალმა შენაძენმა სლავები მაგრად გააწამა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა 13 ქულა ჩაუგდო.

თუმცა დიდ შესვენებაზე ჟელკო ობრადოვიჩის ყოფილმა თანთშემწემ ნამდვილად კარგად დაარიგა პრედრაგ დრობნიაკი, რომელმაც გასოლის გაუვნებლებაზე მიმართა მთელი თავისი ძალები. „სიეტლ სუპერსონიქსის" 211-სანტიმეტრიანმა ცენტრმა დასახული მიზანი მშვენივრად შეასრულა და გასოლი ფაქტობრივად გამოთიშა კიდეც თამაშიდან. ამის დასტურად იმას გეტყვით, რომ ესპანელთა 216-სანტიმეტრიანმა ფორვარდმა მესამე მეოთხედში ოდენ ორი ქულის მოხვეჭა შეძლო.

დრობნიაკი თავდასხმაშიც დიდებულად გაისარჯა (13 ქულა). სწორედ მან გაათანაბრა მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში, 27-ე წუთზე კი მისი მორიგი ზუსტი ტყორცნის შემდეგ გავიდნენ წინ ევროპის 1995 და 1997 წლების ჩემპიონები.

„პირველ ნახევარში ძალიან გაგვიჭირდა. მოწინააღმდეგეს ვერაფრით მოვახვიეთ ჩვენი თამაში თავზე. თითქმის ვერაფერი გავაკეთეთ, რაც დაგეგმილი გვქონდა. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ჩვენ თავდასხმაშიც შევძელით საქმის [illegible]. დაცვაში კი გაცილებით უკეთ ავთამაშდით, რამაც ესპანელებს ბევრი ბურთი დააკარგვინა" — ასეთი პატარა ანალიზი გაუკეთა მატჩს სვეტისლავ პეშიჩმა.

ოღონდ პეშიჩის ნაუბარში ერთი პატარა უზუსტობაა, რაც, სავსებით შესაძლებელია, უბრალოდ ზრდილობის ბრალი იყოს. ესპანელებმა ბევრი ბურთი კი არ დაკარგეს მეორე ტაიმში, არამედ უამრავი. ჯამში კი 20 დაკარგული ბურთი დაუგროვდათ.

„მესამე მეოთხედის დასაწყისში, როცა ჩვენ ზედიზედ სამჯერ დავჯარიმდით და მათ ოთხი საჯარიმო ჩაგვიგდეს, სწორედ მაშინ გადაწყდა მატჩის ბედი" — განაცხადა თავის მხრივ პირინეელთა დამრიგებელმა ხავიერ იმბროდამ, რომელმაც დრობნიაკის დაცვაში ბრწყინვალე თამაში რატომ დაივიწყა, ძნელი სათქმელია.

სულ თავიდან კი იუგოსლავიას ძალიან გაუჭირდა. ესპანელებმა ზონურ დაცვას მიმართეს, რომლის წინააღმდეგაც სლავებმა ვერაფერი გააწყვეს და მე-7 წუთზე უკვე 7 ქულით (6:13) ჩამორჩნენ მეტოქეს. პრედრაგ სტოიაკოვიჩი და დეიან ბოდიროგა რომ არა, ესპანელები კიდევ უფრო უკან მოიტოვებდნენ მეტოქეს, მაგრამ ეს დუეტი ხანდახან პოულობდა შორი დისტანციებიდან სროლის საშუალებას და მეოთხედი ოდენ 18:21 დაუთმეს ესპანეთს. მეორე ათწუთეული შედარებით თანაბარ ბრძოლაში გაილია და მის ბოლოს ანგარიშში სხვაობა უწინდელივით 3 ქულა იყო — 39:36 ესპანეთის სასარგებლოდ.

მესამე მეოთხედზე ცოტა უკვე ვთქვით და ახლა ის დავამატოთ, რომ იუგოსლავიამ მის დასრულებისას ერთი მონაკვეთი 6:0 მოიგო და სწორედ 6 ქულით დაწინაურდა — 57:51. მეოთხეს დასაწყისში კი ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა და 33-ე წუთზე 11 ქულას მიაღწია (67:56).

1999 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულებმა, რომლებიც ახლა ესპანეთის მთავარი ნაკრების წევრები არიან (ლოპესი, ნავარო, გასოლი, გარბახოსა, რეიესი), ერთიც გაიბრძოლეს, მაგრამ იუგოსლავიელებს ველარაფერი დააკლეს და უფროსთა ტიტულის მოსაპოვებლად ცდა კიდევ მოუწევთ.

**გაგი გურული**


REUTERS სტამბოლიდან

პრედრაგ დრობნიაკი ალფონსო რეიესს უფარებს

## ევროპის ჩემპიონატი. ფინალი

# ვაი, ვაი, დევ-ადამ!

## საერთოთურქული ისტერია იუგოსლავიამ ჩააცხრო



პრედრაგ სტოიაკოვიჩი: ერთ ხელში ოქროს მედალი, მეორეში — ევროპის ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი

**იუგოსლავია 78:69 თურქეთი**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (18), ობრადოვიჩი (3), ტარლაჩი (2), დრობნიაკი, გუროვიჩი (11), სტოიაკოვიჩი (15), იარიჩი, შჩეპანოვიჩი (19), ტომაშევიჩი (10)**

**თურქეთი: ერდენაი (13), ქუთლუაი (16), ფარსი (3), ილდირიმი, თურქჯანი (8), ბეშოქი (10), თუნჩერი, თურქოღლუ (13), ოქური (6)**

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ფინალი სხვა ქვეყანაში რომ გამართულიყო, გამარჯვებულის წინასწარ დასახელება თითქმის არავის გაუჭირდებოდა. მაგრამ კონტინენტის პირველობა თურქეთში მიმდინარეობდა და ამ ქვეყნის ნაკრები ფინალში იყო. სწორედ ამ ფაქტმა გახადა ჩემპიონატის დასკვნითი მატჩის შედეგი ძნელად ამოსაცნობი და ეს მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს ტიტულს ტურნირის აშკარა ფავორიტი და უძლიერესი გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავია ეცილებოდა.

„ჰეი, ჰეი, დევ-ადამ!“ — ეს ფრაზა იმ სიმღერიდანაა, საგანგებოდ რომ უძღვნეს ევროპის ჩემპიონატზე მოასპარეზე თურქეთის ნაკრებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრების განმავლობაში ჩვენს მეზობელ ქვეყანაში სხვა არაფერი ისმოდა — გნებავთ საკალათბურთო დარბაზებში, გნებავთ ქუჩაში და გნებავთ რამდენიმე ადამიანის თავშეყრის ადგილას.

„დევ-ადამ“ ჩვენებურად დევკაცს ნიშნავს. ტურნირზე დატრიალებულმა მოვლენებმა თურქ კალათბურთელებს საკუთარი გულშემატკივრის თვალში მართლაც დევკაცური იმიჯი შეუქმნა. ზოგიერთ მათგანს, მაგალითად ჰიდაიეთ თურქოღლუს და იბრაჰიმ ქუთლუაის დევკაცობაც არ აკმარეს და მთლად ზეკაცებად შერაცხეს. ზეკაცებს კი, მოგეხსენებათ, სასწაულს თხოვენ, ამ შემთხვევაში — ევროპის ჩემპიონობას.

თუმცა, თურქობას სულაც არ მიაჩნდა, რომ მათი ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის მოგება სასწაული იქნებოდა. „ჩვენ უნდა მოვიგოთ, ამის გაკეთება შეგვიძლია და გავაკეთებთ კიდეც. მთელს ქვეყანას დავანახებთ, რა არის თურქეთი“ — ამის მთქმელი ვინმე გადარეული ქომაგი კი არა, თურქეთის ნაკრების ფორვარდი მირსად თურქჯანია. სხვათა შორის, თურქჯანი სულაც არაა თურქი, იგი ბოსნიელი გახლავთ და ათიოდ წლის წინ მირსად იაჰოვიჩი იყო, დღეს კი თავად თურქებზე დიდი თურქია.



იუგოსლაველთა კაპიტანი დეიან ბოდიროგა ჩემპიონობით ხარობს

ამ საერთოთურქული ისტერიის ფონზე ყველას მიავიწყდა, რომ თურქეთი ფინალში ჩემპიონატის მასპინძლობამ და ამ ფაქტიდან გამომდინარე ამბებმა გაიყვანა. დამატებით დროში მოგებული მეოთხედფინალი ხორვატიასთან, რომლის ბოლო წამზეც მსაჯებმა აშკარად აჩუქეს მასპინძლებს ორი საჯარიმო სროლის უფლება. ასევე მსაჯების დახმარებით და ასევე დამატებით დროში თურქებმა ნახევარფინალში გერმანია წააქციეს. დიდი ჭკუა არ სჭირდებოდა იმის დადგენას, რომ ბოლო წამებზე გადამწყვეტი ბურთის ჩაგდებისას თურქოღლუმ წესი დაარღვია. თუმცა, მსაჯსაც უნდა გავუგოთ — ძალიან ძნელია ობიექტურობის დაცვა აგრესიული ხალხით პირთამდე სავსე 12-ათასიან დარბაზში, სადაც სავსებით შესაძლებელია ტრიბუნიდან ვილაც დამთხვეული გადმოგიხტეს და თავში რაღაც ჩაგარტყას.

თურქეთის ნაკრების პირისპირ კი იდგა მასზე გაცილებით ძლიერი, შეკრული და განსწავლული გუნდი. იუგოსლაველ კალათბურთელებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია კარგა ხანია ჩამოუყალიბდათ, მათ იციან მოგება და ბოლო წლებში ეს ცოდნა არაერთხელ გამოუყენებიათ. თურქებს თურქოღლუ, ქუთლუაი და თურქჯანი უკვირთ, მაშ რაღა თქვან ბალკანელებმა, რომელთაც თუნდაც დეიან ბოდიროგა და პრედრაგ სტოიაკოვიჩი ჰყავთ? ბოდიროგას სამოყვარულო კალათბურთში არსებული აბსოლუტურად ყველა ტურნირის ფინალში უთამაშია, ოლიმპიადის გარდა ყველაფერი მოუგია და გადამწყვეტ შეხვედრათა უმრავლესობის ბედი პირადად გადაუწყვეტია. ხოლო თურქოღლუ-ქუთლუაი-თურქჯანისნაირები ბითუმად უნახავს და მოუნელებია. და მაინც, თურქეთი მასპინძელია, თურქეთი აღმავლობის გზაზეა და ამიტომაცაა ფინალში საშიში.

ყველა ელოდა ნბა-ს „საკრამენტო კინგზში“ თანაგუნდელების, სტოიაკოვიჩისა და თურქოღლუს დუელს. ორივე თავ-თავიანთი გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ ერთმანეთს არ მეურვეობდნენ. თავიდან სიტუაცია თანაბარი იყო, თურქებიდან ძირითადად ცენტრი ჰუსეინ ბეშოქი და ქუთლუაი აგდებდნენ, იუგოსლავიელთაგან — სტოიაკოვიჩი და მილან გუროვიჩი. პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 3,27 წუთით ადრე, როცა იუგოსლავია 10:9 იგებდნენ, აფეთქდა ქუთლუაი და ორჯერ გარღვევაზე იყოჩაღა, მერე კი სამქულიანი ჩააგდო. მისი გუნდი 16:10 დაწინაურდა და იუგოსლავიელთა მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა წუთშესვენება აიღო. მან მარკო იარიჩის ნაცვლად საშა ობრადოვიჩი შეუშვა, ხოლო ამან, უფრო გამოცდილმა გამთამაშებელმა, თავისიანთა შეტევები შედარებით მწყობრი გახადა და იუგოსლავიამაც ანგარიშში სხვაობა შეამცირა. მეოთხედის მიწურულს ქუთლუაიმ კიდევ ერთი სამქულიანი ჩააგდო, ვლადო შჩეპანოვიჩმა ორი საჯარიმო ააცილა და პირველი შესვენებისთვის თურქეთი 22:15 იგებდა.

მეორე მეოთხედის საწყის წუთებში თურქებმა უპირატესობა შეინარჩუნეს. შეცვლაზე შემოსული ჰარუნ ერდენაის სამქულიანის შემდეგ ანგარიში 29:23 გახდა. თითქოს თურქეთი კიდევ უფრო წინ უნდა გაჭრილიყო, მაგრამ პეშიჩმა სტოიაკოვიჩის ნაცვლად პრედრაგ დრობნიაკი შეიყვანა, რითაც ფარი გაამაგრა. ამასობაში ბოდიროგამ თურქჯანის ჩაგვრა დაიწყო იუგოსლავიამ მე-15 წუთზე ერთქულიანი უპირატესობა მოიპოვა (31:30).

თურქთა მწვრთნელმა აიდინ ორსმა წუთშესვენება ითხოვა და ზონური დაცვა დააყენა, რასაც ბოდიროგა უმალ სამქულიანით შეეპასუხა. აქ იუგოსლავიელები ოდნავ მოდუნდნენ და უმალ დაისაჯნენ კიდეც: თურქჯანმა და ასიმ ფარსმა გაათანაბრეს. ფარსი ბეშოქის ნაცვლად შემოვიდა, რომელსაც ოთხი პერსონალური მიეღო და მწვრთნელმაც იძულებით დაასვენა. ერდენაის და თურქჯანის გარღვევების წყალობით ტაიმი თურქეთმა მოიგო — 40:38.

მეორე ნახევარი გუნდებმა მეტად მკაცრი დაცვით დაიწყეს და დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში ბურთი არცერთ კალათში არ ჩავარდნილა. პირველმა სტოიაკოვიჩმა გაისწორა სამიზნე და სამქულიანი ჩააგდო, რასაც გუროვიჩმა უმალ გარღვევა მიაყოლა. წონასწორობა ქუთლუაის სამქულიანმა აღადგინა — 43:43. ამის მერე კვლავ დაცვითი თამაში გაგრძელდა. მეოთხედის ბოლოს იუგოსლავიამ ერთი მონაკვეთი 7:0 მოიგო და 58:55 დაწინაურდა, მაგრამ ტრავმამოშუშებულმა მეჰმეთ ოქურმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

გადამწყვეტი მეოთხედი იუგოსლავიამ დიდებულად, ჩემპიონურად დაიწყო. საწყისი ექვსი შეტევიდან ხუთში მიზანს მიაღწია და ჯამში 11 ქულა დააგროვა. შესანიშნავად ითამაშა ვლადო შჩეპანოვიჩმა: ჯერ ორჯერ იყოჩაღა საშუალო მანძილიდან, მერე კი სამქულიანით თურქებს ზონური დაცვა დაუნგრია. იუგოსლავია 69:59 დაწინაურდა და, როგორც მერე გაირკვა, ეს მონაკვეთი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

იუგოსლავიამ ტემპის დაგდება გადაწყვიტა. ასეთ სიტუაციაში ბოდიროგას ძნელად მოეძებნება ბადალი. იგი დიდხანს, ბოლო წამამდე ათამაშებდა ბურთს და ძირითადად ფარქვეშ აწვდიდა ცენტრ დეიან ტომაშევიჩს. თურქებმა ექვსი ქულით მიახლოება მაინც მოახერხეს — ერდენაიმ გარღვევაზე ჩააგდო, ხოლო გამოღვიძებულმა თურქოღლუმ ზედიზედ ოთხი ქულა მიითვალა (73:67). პეშიჩმა ბოლო წუთშესვენება აიღო. ბოდიროგამ კვლავ გააგრძელა ტომაშევიჩის პასებით მომარაგება და ამანაც ერთი საჯარიმო ჩააგდო (74:67). ერდენაიმ სამქულიანი ააცილა, ხოლო შჩეპანოვიჩმა ჯერ ორი საჯარიმო ჩააგდო, მერე ჩატენა და მისი გუნდის გამარჯვებაც უეჭველი გახდა.

იუგოსლავია მერვედ გახდა ევროპის ჩემპიონი და დაიბრუნა 1999 წელს დაკარგული ტიტული. მანამდე ბალკანელებმა ზედიზედ ორჯერ, 1995 და 1997 წლებში მოიპოვეს კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელი. ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ იუგოსლავიელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი დაასახელეს. გერმანელი დირკ ნოვიცკი მხოლოდ საუკეთესო ბომბარდირობას დასჯერდა.



ჰიდაიეთ თურქოღლუს და ჰალუკ ილდირიმის დიდი თურქული ოცნება ოცნებად დაურჩათ

ნაფინალევს იუგოსლავიელთა მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა დიდად აქო თურქეთის ნაკრები, ხოლო თავის გუნდზე მოკრძალებით თქვა, ტურნირი წაუგებლად იმიტომ დავასრულეთ და ჩემპიონებიც იმიტომ გავხდით, რომ დაცვაში კარგად ვითამაშეთო. შემდეგ პეშიჩმა ერთ მოთამაშეზე გაამახვილა ყურადღება: „წესით, ჩემი კალათბურთელებიდან არავინ უნდა გამოვყო, მაგრამ გუნდის კაპიტანი დეიან ბოდიროგა განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია. ჩემპიონატის წინ მან ცხვირი გაიტეხა და სრული უფლება ჰქონდა, აქ არ ჩამოსულიყო. მან კი დაიჟინა და ლამის ძალით შემაყვანინა თავი შემადგენლობაში. იგი ყოველთვის იყო და იქნება ჩემი მარჯვენა ხელი, კრიტიკულ მომენტში მას სრულად შეიძლება ენდო“.

თავად ბოდიროგამ განაცხადა, ჩვენი გამარჯვება გუნდური სულისკვეთების ნაყოფიაო და თან თურქებსაც მიულოცა — მეორე ადგილი თქვენთვის ისტორიული წარმატებააო.

თურქთა დამრიგებელი აიდინ ორსი თავშეკავებული იყო, ძირითადად სტატისტიკურ მონაცემებზე ილაპარაკა, ბოლოს კი დაიწუწუნა, მსაჯი იუგოსლავიელებს ემხრობოდაო.

დევკაცების მწვრთნელს ამის თქმა ნაღდად არ შეშვენის, თუმცა, განა ბევრი მოეთხოვება იმ კაცს, რომლის გუნდსაც მეტოქემ „ჰეი, ჰეის“ ნაცვლად სულ „ვაი, ვაი“ აძახებინა?

**ზურაბ რატიშვილი**

მესამე ადგილისთვის

**ესპანეთი 99:90 გერმანია**

**ესპანეთი: ა. რეიესი (8), პარაისო (5), ანგულო, როდრიგესი (7), ხიმენესი (2), გარბახოსა (12), ვასკესი, ლოპესი (5), ნავარო (27), ფ. რეიესი (2), გასოლი (31), კორნგაი**

**გერმანია: ტომიჩი (6), პეშიჩი (7), ოკულაია (4), დემირელი (7), ნოვიცკი (43), ფემერლინგი (14), პაპიჩი, გარეტი, გარისი (2), ბრედლი (7)**

მეხუთე ადგილისთვის

**რუსეთი 78:73 საფრანგეთი**

მეშვიდე ადგილისთვის

**ხორვატია 93:91 ლატვია**

*მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ითამაშებენ: იუგოსლავია, თურქეთი, ესპანეთი, გერმანია, რუსეთი*

US OPEN **ამერიკის ღია პირველობა 2001** US OPEN

### ქალები

**ქალთა** ნახევარფინალების მაცქერალი ქომაგობა რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში გატრუნულიყო. ეს რაღაც ერთი დღის შემდეგ, შაბათს მოხდა, მანამდე კი, პარასკევს, პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში დიაცთა შორის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა მეათე ნომრად განთესილ სერენა უილიამსთან მარცხი ჭამა და კლასიფიკაციაში პირველ ადგილს ამ უახლოეს დღეებში ოღენ იმიტომ არ დაკარგავს, რომ ამერიკის ღია პირველობის მეორე ნახევარფინალში, მის უახლოეს მდევარს ჯენიფერ კაპრიატის იგივე დღე დააწია სერენას უფროსმა დამ ვინუსმა.

სწორედ აქ მივადექით მთავარს. იეღოველი დები, ჩოგბურთის შავი კოლორიტები, ვინუს და სერენა უილიამსები ამერიკის ღია პირველობის ფინალში შეასკდნენ ერთმანეთს. ისტორიაში მხოლოდ ერთი მსგავსი შემთხვევაა ცნობილი — შორეულ 1884 წელს უიმბლდონის პირველი ტურნირის ფინალში მოდ უოტსონმა დასცა უმცროსი და ლილიანი. მას შემდეგ 117 წელი ერთი დედ-მამის შვილები არასდროს გადაჰყრიან ერთმანეთს დიდი სლემის ტურნირების ფინალებში, სანამ უილიამსებმა 2001 წლის „ოუფენის" ფინალამდე ყველა არ დაიფრინეს და დასკვნით მატჩში ერთმანეთს არ წარუდგნენ.

ისტორია სხვა მხრივაც განსაკუთრებით გაიხსენებს უილიამსების ამ ჯახს. ეს ამერიკის ღია პირველობის ფინალებში პირველი წმინდა ზანგური დაპირისპირებაა. ასე რომ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქალთა ფინალის წინ ინტრიგის ტალღა საკმარისზე მეტად აზვირთდა და ვინუს-სერენას მამა, გიჟმაჟი რიჩარდ უილიამსი დააფრთხო. რომ გაიგო ფინალში ჩემი გოგონები ერთმანეთს შეხვდებიანო, უილიამსთა პატრიარქი სასწრაფოდ დაფაცურდა და მშობლიური ფლორიდისკენ მიმავალი თვითმფრინავის ბილეთი დაჯავშნა, აქაოდა, შიდაოჯახურ ომს ვერ ვუყურებო, ზედ თვითმფრინავის ტრაპიდან კი ჟურნალისტებს მიუგდო — კარგი სეირი გელით და აბა, თქვენ იცით, როგორ ისიამოვნებთო.

მამა რიჩარდი ორივე შვილიკოს მწვრთნელია და მათი ავანჩავანი ყველაზე უკეთ მოეხსენება. ამ ფინალის წინ აბა, რას იტყოდა, ისე კი ადრე უთქვამს ჩემი ორივე პირმშო ძალიან მაგარია და მოვა დრო, მსოფლიოს დაიპყრობენ, ისე კი პატარა სერენა უფრო ნიჭიერიაო. მაშინ დები უილიამსები თითქმის ბავშვები იყვნენ და მამა რიჩარდი მათ კოჭებზე აკვირდებოდა. ახლა იგი იმ სიტყვებს ველარ გაიმეორებს, რადგან სერენა ჯერჯერობით აშკარად ჩამოუვარდება უფროს დას და ეს რომ ასეა, შაბათის ზეინტრიგულმა მატჩმაც სავსებით ცხადყო.

დედმამიშვილთა დაპირისპირებამ 23 ათასი ქომაგი შეკრიბა, ხალხმაც გვარიანად ისიამოვნა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ისტორიული უფრო იყო, ვიდრე დრამატული. საზოგადოდ სერენას ვინუსზე ნაკლებ სწყალობს გულშემატკივარი, თუმც ამ შემთხვევაში პირიქით მოხდა. უმცროს დას შეუდარებლად მეტი აპლოდისმენტი და გამამხნევებელი შეძახილი ერგო, რადგან იგი ერთთავად აგებდა, ხალხს კი, რა გასაკვირია და, დაძაბული ბრძოლის ხილვა სურდა. ტრიბუნაზე შეფენილ მრავალ ცნობილ პიროვნებათა შორის ერთი ხანშიშესული შავკანიანი ქალბატონი გამოირჩეოდა — ორასინ უილიამსი. მიხვდებით ეს მანდილოსანი კორტზე მყოფ ოფლში გახვითქულ გოგონათა მშობელი დედა გახლდათ და ისევე როგორც მაყურებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სერენას ქომაგობდა — „ვინუსი ძლიერი გოგონაა, სერენა ცოტა მერყევი. მე მიხაროდა და არც მიხაროდა, ისინი ფინალში რომ შეხვდნენ ერთმანეთს და თვითონაც არ ვიცი, ვისი გამარჯვება მსურდა, მაგრამ სერენა რომ მძიმე დღეში დავინახე, ძალაუნებურად მისი გამხნევება დავიწყე" — თქვა ნამატჩევს მისის უილიამსმა. მან იქვე ისარგებლა შემთხვევით და შეხვედრას კიდევ ერთხელ უწოდა „ისტორიული".

# ჩაზანგე, ჩაზანგე

## უილიამსებმა თეთრებს წუხილი მიაშავეს

## ეეეჰ! სამპრასმა ჰიუიტის ჯანი ინატრა



სერენა და ვინუს უილიამსებმა ლანგარი და თასი გაინაწილეს

ამერიკის ღია პირველობის დაწყებამდე სერენა უილიამსმა თავს თამამი ვარაუდის გამოთქმის უფლება მისცა — მე და ვინუსი ერთმანეთს ფინალში შევხვდებით, მოგება კი მე დამრჩებაო. როგორც ხედავთ, მისი პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა. ტანით და ასაკით მომცრო უილიამსმა ფინალამდე გზაზე ყველა დასცა, თუმც უფროს დაიკოს ველარაფერი მოუხერხა. ვინუსი თავიდანვე ბრძოლის ჟინით ანთებული გავიდა კორტზე. სულისკვეთება არც სერენას აკლდა, მაგრამ როგორც მათმა დედამ მოგვიანებით თქვა, მას კონცენტრირება უჭირდა. ვინუსმა პირველი ორი გეიმი მოიგო და ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვა. მართალია, სერენამ შემდეგ აართვა მოწოდება მას და ანგარიში გაათანაბრა (2:2), მაგრამ უფროს დას, რომელიც აშკარად უკეთ თამაშობდა, პირველ ხელში ველარაფერი მოუხერხა. ვინუსმა მძლავრი მოწოდებებით აიკლო პატარა დაიკო და ერთხელ ისეთი მოუწოდა, ჩოგანი ხელიდან გააგდებინა. სერენა გეიმს გეიმზე აგებდა, გრძნობდა, რომ უმწეო იყო და მის ლამაზ თვალებზე ცრემლი აკიაფდა. ერთხელ თავს ვერ მოერია და წამოიძახა — გაჩერდიო. ვინუსის შეჩერება კი იოლი არ იყო. მან პირველი სეტი 6:2 მოიგო და მეორეშიც 2:0 დაწინაურდა.

მეორე სეტში შედარებით დაძაბული გამოდგა. ტრიბუნებიდან შეძახილებმა „მიდი, დაიკო!" და სხვა ამგვარებმა სერენა გამოაცოცხლა და მან მეორე ხელში გათანაბრება შეძლო (2:2), შემდეგ საკუთარი მოწოდება დაკარგა, თუმც მერე დაიბრუნა, 3:3 გახადა. საბოლოოდ მან მაინც დათმო გაცილებით ძლიერ ვინუსთან — 4:6. სანამ ბადესთან საკუთარი დის მისალოცად გაემართებოდა, ჩოგანი სადღაც მოისროლა. იგი აშკარად ვერ ერეოდა ემოციებს. ვინუსის სიტყვებმა — მე შენ მიყვარხარო, ცოტა დაამშვიდა დამარცხებული და სერენას სახეზე ჯერ ღიმილი შემდეგ კი სიცილიც გამოჩნდა.

„მიხარია, რომ გავიმარჯვე. საერთოდ გამარჯვებები მიყვარს, მაგრამ მეორე მხრივ გული მწყდება. მე ხომ უფროსი და ვარ და მინდა, პატარასაც ყველაფერი ჰქონდეს. მე ის ძალიან მიყვარს" — თქვა ვინუსმა.

დაბოლოოს, ისიც ვთქვათ, რომ დებმა უილიამსებმა ამერიკის ღია პირველობა ლამის ოჯახურ ტურნირად აქციეს. ვინუსმა აქ შარშანაც მოიგო, ასე რომ, დუბლი შეასრულა. სერენა კი ამერიკის ღია პირველობის შარშანწინდელი ტრიუმფატორია.

### ვაჟები

**ბედმა** აშშ-ის ღია ჩემპიონატის ოთხგზის გამარჯვებულს, ამერიკელ პიტ სამპრასს ურთულესი გზა არგუნა. თითქოს მერვედ და მეოთხედფინალებში ამავე გათამაშების ორ-ორგზის ჩემპიონების — პატრიკ რაფტერის და ანდრე აგასის ჩამოშორება არ კმაროდა, რომ ნახევარფინალში ტიტულის შესანარჩუნებლად მებრძოლი მარატ საფინი დაუხვდა.

არაერთი ტიტულის პატრონს რუსმა ჩოგბურთელმა საწყის ორ სეტში უამრავი თავსატეხი გაუჩინა. მეორე სეტში კი საქმე ტაი-ბრეიკამდეც მიიყვანა, თუმცა საჭირო დროს მნიშვნელოვანი ქულის მოპოვებას ვერ ახერხებდა. „პისტოლ პიტის" უპირატესობა კი იზრდებოდა. არც ამერიკელი ირჯებოდა უშეცდომოდ, ეგ კი არა, ორმაგი და უნებლიე შეცდომებით რუსისას ორმაგად აჭარბებდა კიდეც. მატჩი მაინც თავის სასარგებლოდ დასრულდა — 6:3, 7:6 (7:5), 6:3. მიუხედავად მარცხისა, საფინი, „პისტოლ პიტს" საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიიჩნევს.

„ყურადღებას ნუ მიაქცევთ, დაივიწყეთ შარშანდელი ფინალი. მაშინ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის შევხვდებოდი. მაშინ ვერავინ მომიგებდა. ღმერთსაც რომ შევბრძოლებოდი, ვერც ის გამიმკლავდებოდა, რადგან ბრწყინვალე ფორმაში ვიყავი და ყველაფერი ხელმეწიფებოდა. რაც შეეხება ახლანდელ პაექრობას რა თქმა უნდა, სამპრასის დარი ჩოგბურთელის დასამარცხებლად არანაირი შანსი არ გაქვს, თუკი მნიშვნელოვან ქულებს წყალს გაატან. მე ვილაცასთან კი არ დავმარცხებულვარ, არამედ თვით პიტ სამპრასთან, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთან" — საკუთარ მარცხს ახსნას უძებნის საფინი.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში საფინის თანამემამულე ევგენი კაფელნიკოვის და ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის პაექრობას ნაკლებად ეთქმის ორთაბრძოლა. 20 წლის ოზმა ჩოგბურთელმა გამოცდილ ჟენიას თავბედი აწყევლინა. სამსეტიან მატჩში, ჰიუიტმა კაფელნიკოვი აშკარა უპირატესობით დაამარცხა — 6:1, 6:2, 6:1. ამით, თურმე ნუ იტყვით და ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. 1968 წლიდან მოყოლებული აშშ-ის ღია პირველობაზე ჯერ არ ყოფილა, რომ ვინმე ნახევარფინალში ასე განადგურებულიყოს. ტურნირის ამ ეტაპზე 25-ზე ნაკლები გეიმის ჩატარება დღემდე ვერავის მოეხერხებინა. „არტურ ეშის" კორტზე თავშეყრილი მაყურებლები კაფელნიკოვის საცოდაობით იწვოდნენ. მეშვიდედ განთესილმა რუსმა მთელი მატჩის განმავლობაში ხეირიანი ვერაფერი გააკეთა. მის ერთადერთ წარმატებად ის თუ ჩაითვლება, რომ მეორე მოწოდებისას ორი ქულა მოიპოვა. უნებლიე შეცდომები კი იმდენი დაუშვა, რომ მის ავსტრალიელ მეტოქეს ორჯერ ეყოფოდა, ხოლო 11-დან რვაჯერ საკუთარი მოწოდება მეტოქეს გადაულოცა. თუ პირველი სეტის შუაწელამდე ასე თუ ისე კარგად თამაშობდა, მერე ყველაფერი თავდალმა წაუვიდა.

„დამიჯერეთ, ყველაფერი ვილონე. ჰიუიტთან თამაშის გარკვეული ტაქტიკური გეგმა მქონდა შემუშავებული, მაგარმ პირველი სეტის შუაწელში მივხვდი, რომ ჩემს ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა. ყოველთვის, როცა კი ვცდილობდი, მატჩში გარდატეხა შემეტანა, ჩემდა სამწუხაროდ, ლეიტონი უკეთ ირჯებოდა. ეს მისი დღე იყო. ეგ კი არა, ბოლოს, როდესაც უკვე ყველაფრის იმედი გადამეწურა მხოლოდ მწვრთნელის დაძახება მსურდა, თუმც ეს ნაბიჯი აღარ გადავდგი, რადგან ვხვდებოდი, მაინც წავაგებდი. ამიტომ საკუთარ თავს ვუთხარი, უმჯობესი იქნება, თუ მარცხს ჩემპიონივით მივიღებ-მეთქი" — მატჩის შემდეგ აღიარა კაფელნიკოვმა.

ფინალში ავსტრალიელმა დიადი მეტოქის სახელი არად ჩააგდო და კარიერაში პირველად დიდი სლემის გამარჯვებული შეიქნა. ტურნირზე მეოთხე ნომრად განთესილი ოზი ბოლო 11 წლის განმავლობაში ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი გახდა, ვინც ამ მეტად პრესტიჟულ ჯილდოს დაეუფლა. მანამდე, 1990 წელს ასეთი პატივი 19 წლის სამპრასს ხვდა. ახალგაზრდა ავსტრალიელმა მატჩი საკმაოდ არეულად დაიწყო, მერე და მერე მეტოქისადმი რიდი დაკარგა და აკი წარმატებასაც მიაღწია. სამსეტიან მატჩში, პირველისგან განსხვავებით, ჰიუიტი ალმაფრენით თამაშობდა. 7:6 (7:4), 6:1, 6:1

| ნახევარფინალი |
| --- |
| **ვაჟები** |
| პიტ სამპრასი (10, აშშ) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 6:3, 7:6, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) 6:1, 6:2, 6:1 |
| **ქალები** |
| სერენა უილიამსი (10, აშშ) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:3, 6:2; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) 6:4, 6:2 |
| **ფინალი** |
| **ვაჟები** |
| ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — პიტ სამპრასი (10, აშშ) 7:6 (7:4), 6:1, 6:1 |
| **ქალები** |
| ვინუს უილიამსი (4, აშშ) — სერენა უილიამსი (10, აშშ) 6:2, 6:4 |
| **ვაჟთა წყვილები** |
| უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) და კევინ ულიეტი (ზიმბაბვე) (14) — დონ ჯონსონი (აშშ) და ჯარედ პალმერი (აშშ) (2) 7:6, 2:6, 6:3 |
| **ქალთა წყვილები** |
| ლაიზა რეიმონდი (აშშ) და რენე სტაბსი (ავსტრალია) (1) — კიმბერლი პომესერლი (აშშ) და ნატალი ტოზია (საფრანგეთი) (4) 6:2, 5:7, 7:5 |
| **შერეული წყვილები** |
| რენე სტაბსი (ავსტრალია) და ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) (1) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) (2) 6:4, 5:7, 7:6 |

„თავიდან ძალიან ვღელავდი. ამ მეტად მნიშვნელოვან მატჩში ხომ მეტოქეობას ისეთი ლეგენდარული ჩოგბურთელი მიწევდა, როგორიც პიტ სამპრასია — გვამცნობს ჰიუიტი — მერე და მერე კი საკუთარი თავი ხელში ავიყვანე".

მატჩში გარდატეხა მას შემდეგ მოხდა, რაც ლეიტონმა პირველი ხელის ტაი-ბრეიკი მოიგო. შემდეგ ორ სეტში კი სამპრასი საკუთარ თავს არ ჰგავდა. შეხვედრაში, რომელიც საათსა და 54 წუთს მიმდინარეობდა, ამერიკელმა 38 უნებლიე შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც ჰიუიტს ასეთი რამ 13-ჯერ მოუვიდა.

„ვწუხვარ, რომ დღეს ჩემი საუკეთესო თვისებები ვერ გამოვავლინე, თუმც ეს ჩემი მეტოქის დამსახურებას სულაც არ აკნინებს. მან გამარჯვება დაიმსახურა. იგი ბრწყინვალე მოთამაშეა და მჯერა, რომ სულ ცოტა, ათი წელი მისი ვარსკვლავი კიდევ იკაშკაშებს. იგი განუმეორებლად ირჯებოდა და წარმოუდგენლად სწრაფად მოძრაობდა. ეჰ, მისი ჯანი მომცა..." — დაჯილდოების ცერემონიალზე 23960 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ამბობდა „პისტოლ პიტი".

**ირაკლი ფირაშვილი**
**გიგა გურასაშვილი**



ლეიტონ ჰიუიტის საჩემპიონო ამბორი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge